გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

ეროვნული ბიბლიოთეკა

№330 (389) 8-15 სექტემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ალექსანდრე ჭაჭია: მაინტერესებს, სად და რომელ სორო(ს)ში იმყოფება ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია?“

ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება მოიცვა ჭიაბერაშვილმა: განათლება, ოჯახური აღზრდა და რელიგია!

გვ.2





## “აბაშის ახალგაზრდული საკრებულო” აბაშის მუნიციპალიტეტში სხდომას დაესწრო

გვ. 5

## საააკაშვილის ძეგლი უხერხულ პოზაში: პირში ჰალსტუხი, უკან კი ობამა... ცოცხით

გვ.7



## “რუსთავი-2” აგონიაშია – „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის სავიზიტო ბარათი სწორედ „თავისუფალ სიტყვაზე“ ზეწოლა გახდა“

გვ.5

## იგორ კეკელია: ქართველური ტოპონიმიის მნიშვნელოვანი შენაძენი

გვ.3

„ჩავატარეთ ზედაპირული გათხრები და მოპოვებულმა ბრინჯაოსა და რკინის ნივთებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი ვარაუდი. წიდები და მადნის ზოდები, ფაქტობრივად, მიწის ზედაპირზეა მიმოფანტული და თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამ ადგილებში დაფიქსირდა განვითარებული მეტალურგიის კერა. ეს ყველაფერი მოიცავს კოლხური კულტურის პერიოდს და გაცილებით მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ეს დღეს ჩვენთვის არის ცნობილი.“

## ნატალია ჯალაღონია: ხვამლის ქვაბულის საიდუმლოებანი

გვ. 10-11



## იური იზიუმოვი: 9 აპრილი ედუარდ შევარდნაძისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია...

## ჯუმბერ პატიაშვილი: რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე...

გვ. 4



## ვინ შეცვალა ილია მეორემ: 70-იანი წლების საქართველოს პატრიარქის ცხოვრების გზა

გვ.6



## იღუმენი მათე ჯულაყიძე:

სასაზღვრო ზოლია და რუსი ჯარისკაცები ქსნის ხეობიდან ხშირად ჩამოივლიან ხოლმე. თუ გარეთ ვართ შემოვლენ და მოილოცავენ მონასტერში. თუ ჩვენ არ მოვიპატიჟეთ, ისე არ გვაწუხებენ”,

გვ. 8

# მაინტერესებს, სად და რომელ სორო(ს)ში იმყოფება ჩვენი „სახელოვანი ინტელიგენცია?“

*დაიბეჭდა გაზეთში „ასავალ-დასავალი“, 2004 წლის სექტემბერში*

საქართველოს ის მოაზროვნე პატრიოტები, ვინც წლების განმავლობაში შევარდნაძის ანტიეროვნულ რეჟიმს ებრძოდა, ახალი ხელისუფლებისაგან სამი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის პრინციპულ გადაწყვეტილებას მოელოდნენ: საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას; ეკონომიკაში მოდერნიზაციული პროექტის შემუშავებასა და რეალიზებას; განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სისტემის აღორძინებასა და ინტენსიურ განვითარებას. ამ ძირითად მიმართულებებში ამოცანათა წარმატებულ გადაწყვეტას შეუძლია შეწყვიტოს ქართული სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ქართველი ერის დაშლა-გაფანტვა, უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, ქართველი ერის როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის შენარჩუნება. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა ფორმით კიდევ უფრო უნიჭო, ხოლო შინაარსით კიდევ უფრო ანტიქართული, ვიდრე ეს შევარდნაძის მარაზმატული მმართველობის პერიოდში იყო.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეიქმნა და ფუნქციონირებს ასობით, ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა უცხოეთიდან, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფინანსდება. ამ ორგანიზაციების შენახვისათვის ამერიკელები ასობით მილიონ დოლარს ხარჯავენ. ეს ფული საკმარისი იქნებოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის, ასობით საცხოვრებელი სახლის აშენებისათვის, თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვისათვის, მაგრამ ეს უზარმაზარი თანხები გამოყოფილია იმ პროექტების რეალიზაციისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ „ადამიანის რელიგიური მრწამსის თავისუფლების უზრუნველყოფას“, „განათლების სისტემის რეფორმირებას დასავლური ლიბერალური ღირებულებების შესაბამისად“, „ჩამორჩენილი ეროვნული ტრადიციების დაძლევას, მორალისა და ზნეობის დასავლური ნორმების დანერგვას“, „სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების ფორმირებას“, „ოჯახში ურთიერთობათა ახალი ტიპის დანერგვას“, „ბავშვთა სექსუალურ აღზრდას“ და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ამ პროგრამების განსახორციელებლად გრანტებს იღებენ, გვარწმუნებენ, რომ ამერიკელი მეგობრები ამ მილიონებს იმიტომ ხარჯავენ, რომ ქართველები დაბადებიდან უყვართ და შეუკავებელი სურვილი აქვთ, ქართველი ახალგაზრდა თაობა ბრწყინვალედ განათლებული, ჯანსაღი, ჭკვიანი და ლამაზი იხილონ. საინტერესოა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მოიპოვებიან იდიოტები (როგორც წესი, შემოქმედებითი ინტელიგენციის წრიდან), ვისაც ამისი სჯერა.

რამდენიმე წლის წინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე ჩატარდა დისკუსია გლობალიზაციის პრობლემებზე, რომლის მსვლელობისას მოყვანილ იქნა უამრავი მასალა, რომელიც მოწმობდა, რომ გლობალისტთა გეგმებში საქართველოსთვის განკუთვნილი როლი არ ითვალისწინებს განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებას. ქართველები უნდა დაკმაყოფილდნენ სატრანსპორტო დერეფნის მოსამსახურე პერსონალის როლით. გახარებულმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, საერთაშორისო ფუნქცია მოიპოვა! ბუნებრივია, ამგვარ „ფუნქციონერებს“ განათლება და მეცნიერება არ სჭირდებათ: ნავთობსადენის დაცვა და ავტობუსთა მძღოლების მომსახურება უმაღლესი განათლების გარეშეც შეიძლება. ამიტომ შევარდნაძის პერიოდში სრულიად განადგურდა აკადემიური მეცნიერება (სხვათა შორის, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის სამარცხვინო დუმილის პირობებში), უმაღლესი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაიწყო სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების დეგრადაციის პროცესი, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხების ავტორიტეტი. მაგრამ ეს ცოტაა იმისათვის, რომ ერი ახალ „ფუნქციას“ შეეგუოს, ანუ უარი თქვას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ მფლობელობაზე და გადაიქცეს ოფიციანტთა, დარაჯთა, მენაგვეთა და მეძავთა უსიტყვო ბრბოდ. აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების სრული მოსპობა! ქართველი ერის ეროვნულ თვითშეგნებას კი განსაზღვრავს განათლება (საბავშვო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი), ტრადიციული აღზრდა (ოჯახი, უფროსი თაობის მაგალითი) და მართლმადიდებლობა. ეროვნული ცნობიერების ამ სამი საფუძვლის განადგურებაზე არის მიმართული უცხოელი „მზრუნველი მეგობრების“ მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობა. ეს პროცესი წარმატებით დაიწყო შევარდნაძის დროს, რომლის ფრთის ქვეშ მრავლდებოდა ამ ორგანიზაციათა ქსელი, ყალიბდებოდა მათი საკადრო შემადგენლობა, ხოლო დღეს ეს კადრები სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურებში გადაბარგდნენ და უშუალოდ შეუდგნენ იმ ამოცანის საბოლოო გადაწყვეტას, რომლისთვისაც მათ წლების განმავლობაში აფინანსებდნენ, უცხოეთში დაჰყავდათ სემინარებზე, ტრენინგებსა თუ კონფერენციებზე.

ერთ-ერთი ასეთი **„მოღვაწე“** გახლავთ ჭიაბერაშვილიც. „რაო-რაო?“-ში გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა გაზეთის ყურადღება, ალბათ, იმიტომ მიიპყრო, რომ მისი ავტორი არის დედაქალაქის მერი, რომლის განკარგულებაში ასობით სასწავლებელი იმყოფება და რომელმაც ამით მრავალი ათასი ბავშვის აზროვნებისა და სულის დამახინჯების უშუალო შესაძლებლობა მოიპოვა. მაგრამ ახალგაზრდა თაობის დენაციონალიზაციის, ინტელექტუალური და ზნეობრივი დეგრადაციის საქმეში ძირითადი როლი განათლების სამინისტროს ეკისრება, რომელსაც ხელმძღვანელობენ სოროსის მიერ ფინანსირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან საზოგადოების განვითარების მსოფლიოში მიღებული ობიექტური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, ერთადერთი, რაც საქართველოს ზიმბაბვესგან განასხვავებს, არის მოსახლეობის ძირითადი მასის განათლების მაღალი დონე. ამ სხვაობის ლიკვიდაცია ჩვენი ხელისუფლების მფარველთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სწორედ ამიტომ მთლიანად შეიცვალა განათლების სამინისტროს საკადრო შემადგენლობა: მცოდნე, გამოცდილი ხელმძღვანელების ადგილები დაიკავეს 21-25 წლის **„სოროსელებმა“**, თანაც, ზოგიერთმა მათგანმა უმაღლესი განათლების დიპლომის მიღებაც კი ვერ მოასწრო. როგორც პრესა იტყობინება, უკვე მიმდინარე წელს იწყება **„განათლების სისტემის ოპტიმიზაციის პროექტის“** რეალიზება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ყველა რაიონში დარჩება მხოლოდ რამდენიმე უფასო სკოლა, დანარჩენი კი დაიხურება ან კომერციული გახდება. იგივე ელის საბავშვო ბაღებსაც, რომელთა 60 პროცენტი დაიხურება. ჩვენმა **„რეფორმატორებმა“**, ალბათ, მიიჩნიეს, რომ მათი წინასაარჩევნო დაპირებები უკვე შესრულებულია და საქართველოს მოსახლეობა იმდენად მდიდარი გახდა, რომ შეუძლია, კომერციულ სკოლებში ბავშვებს განათლება მიაღებინოს. ჭეშმარიტად, ერი მეამბოხე უმეცრების მსხვერპლი გახდა!

ნახეთ, რას და ვის ებრძვის 35 ათასი დოლარის გრანტის საფასურად თბილისის ახლანდელი მერი: **„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე.წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისთა ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები — ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება“...**

თურმე, საქართველოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარ მტრებს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვებს თავს უჭედავენ ეროვნულ სახელმწიფოზე და პატრიოტიზმზე მავნებლური აზრებით! თურმე, ეროვნული იდეოლოგია **„ეგრეთ წოდებული“** ცნებაა, ხოლო ცნებას **„ტრადიცია“** ქართველები მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში მცდარად აღიქვამენ! სამაგიეროდ, ჭიაბერაშვილმა, რომლის ფიზიონომიაზე ნათლად აისახება მისი ინტელექტის დონე, შესანიშნავად იცის, თუ რა სჭირდება ქართველებს და როგორ, ვისი დახმარებით შეიძლება ქართველებს ამის მიღება აიძულო. აი, რას წერს თავის პროექტზე აზროვნების ეს **„გიგანტი“**: **„...პროექტი თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება აბრკოლებდეს ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო“.**

ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულება მოიცვა ჭიაბერაშვილმა: განათლება, ოჯახური აღზრდა და რელიგია! იცის ბიჭმა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ პატრონებს აამოს და ფული მიიღოს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ჭიაბერაშვილი იმ დროს **„სამართლიანი არჩევნების საზოგადოების“** ხელმძღვანელი იყო. რა საერთო აქვთ ამ თემებს არჩევნებთან? ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელწოდებებს, ლამაზ აბრებს, რომლებსაც არიან ამოფარებულნი, არაფერი აქვთ საერთო მათი საქმიანობის ჭეშმარიტ არსთან, ხოლო ეს არსი ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების განადგურებაა. ახლახან ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჯორჯ სოროსის მიმართვა, რომელიც მან **„თავისუფლების ინსტიტუტს“** და სხვა მისდამი დაქვემდებარებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნა. მიმართვაში სხვა საზიზღრობებთან ერთად წერია: **„იყავით ფხიზლად... ფაშიზმი სწორედ იქ იჩენს თავს, სადაც ჯეროვან შეფასებას ვერ ვაძლევთ ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებას — იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები“.** მაშასადამე, ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! ამ გრძნობის მოსპობა არის განათლების სფეროში რეფორმის ამოცანა. 3-5 წელიწადში საქართველოში აღარ იარსებებს განათლების ეროვნული სისტემა. განათლების დონე, რომელსაც მოსწავლეები მიიღებენ, შეზღუდული იქნება იმ მოცულობით, რომელიც მოსამსახურე პერსონალის ეროვნებაწართმეულ მასას სჭირდება. ამ მასას საკუთარი მიწა-წყლის პატრონის გრძნობა არასოდეს გაუჩნდება. მაგრამ ჭიაბერაშვილებსა და მათ პატრონებს კარგად ესმით, რომ ქართველობის როგორც ეროვნულ-კულტურული ფენომენის განადგურებისათვის განათლების სისტემის დაშლა არასაკმარისია. ერის განვითარების ჯაჭვიდან, სადაც რგოლებს თაობები წარმოადგენენ, საჭიროა ერთი რგოლის ამოგდება. მაშინ ეს უკვე აღარ იქნება უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ერის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. ერი დაკარგავს მთავარს — თაობათა მემკვიდრეობითობას, ანუ ერი აღარ იქნება. შევარდნაძის დროს და მისი მფარველობით დაიწყო უფროსი თაობის სოციალური და მორალური დამცირების პროცესი. უფროს თაობას ლაფს ასხამდნენ **„კომუნისტური წარსულისთვის“**, **„ცუდი რუსების“** მხარეზე **„კარგი გერმანელების“** წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის, ცხოვრების **„არაცივილიზებული“** წესისთვის და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველთა საშუალო თაობას გაუჭირდა საკუთარი მამების ლანძღვა-გინება, მათი უარყოფა, მითუმეტეს, რომ ამ მამებმა შვილების არცთუ ისეთი ცუდი ბავშვობა უზრუნველყვეს, განათლება მიაღებინეს და არც მთლად ჩამორჩენილი ქვეყანა დაუტოვეს, უფრო მეტიც, საშუალო თაობა (35 წლის ზევით) აღიზარდა და განათლება მიიღო მანამ, სანამ ამ პროცესში სოროსი, ლომაია, ჭიაბერაშვილი, ბერძენიშვილი და სხვა უაღრესად სიმპათიური ვაჟკაცები ჩაერივნენ. ამიტომ სათანადო ინსტანციებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებიდან ამ საშუალო თაობის ამოგდება, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროდან მისი განდევნა, რათა წაართვან მას მომდევნო თაობის ჩამოყალიბებაზე გავლენის შესაძლებლობა. დამეთანხმებით, რომ ძნელია, საკუთარი შვილებისთვისაც კი გახდე ავტორიტეტი, თუ უმუშევარი ხარ, არანაირი სოციალური სტატუსი არ გაგაჩნია და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, ასეთ პირობებში ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ სცემს პატივს, რომ არაფერი ვთქვათ პატივისცემაზე სხვა ადამიანების, თუნდაც, ახლობლების მხრიდან... სწორედ ამიტომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან 22-26 წლის ახალგაზრდები, რომლებიც **„წმენდნენ“** მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ყველაზე სასაცილოა, რომ ისინი ამას აკეთებენ ყოფილი მუშაკების **„არაპროფესიონალიზმის“** საბაბით, ხოლო გათავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ თავიანთ თანაკლასელებს, ეზოს ძმაკაცებს წარმოგვიდგენენ როგორც **„გამოცდილ პროფესიონალებს“**. ჭეშმარიტად, ვუნდერკინდებით მდიდარია სოროსისეული ორგანიზაციები!

ამ სიტუაციაში მე მაინტერესებს, სად, რომელ სორო(ს)ში იმყოფება დღეს ჩვენი **„სახელოვანი ინტელიგენცია“** — ცნობილი პოეტები, მწერლები, კინორეჟისორები, აკადემიკოსები, ვინც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჯიუტად არ ამჩნევდა მის მიერ წაქეზებულ დესტრუქციულ, ანტიეროვნულ პროცესებს, ერთგულად ლოცულობდა თავის კერპზე და არ სურდა დაენახა, რომ მისი ფრთის ქვეშ ყალიბდება აგრესიული, უპრინციპო, უეროვნებო ცინიკური ძალა, რომელიც საჭირო მომენტში მოისვრის შევარდნაძეს, როგორც უსარგებლო ნივთს და უმოწყალოდ დაამთავრებს ქართველობის მოსპობის მის მიერვე დაწყებულ პროცესს. სად ხართ, **„ერის მამებო“**? სად არის მეცნიერებათა აკადემია, სადაა მწერალთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა, კომპოზიტორთა კავშირები, თეატრალური საზოგადოება და სად არის საზოგადოება **„თბილისელი“**, რომელშიც მაშინ შევარდნაძის მხარდამჭერი **„ჭეშმარიტი თბილისელები“** გაერთიანდნენ და მოსახლეობას თავს აბეზრებდნენ **„ეროვნული, ვაჟკაცური“** განცხადებებით? მოსწონთ **„თბილისელ ვაჟკაცებს“** დედაქალაქის ახალი მერი და პრემიერი? დუმხართ? ეთანხმებით საკუთარი ერის მოსპობას? თუ გეშინიათ, რომ ახალი ხელისუფლება იმ ნასუფრალს წაგართმევთ, რომლის გამოც შევარდნაძეს ეთაყვანებოდით? არ შეიძლება, ბატონებო, სამარშრუტო ხაზზე ღირსების გაცვლა...

1997 წელს მე გამოვაქვეყნე ინტელიგენციისადმი მიმართული წერილი — **„გეწყინათ? გეწყინოთ!“**, სადაც აღვწერე ქვეყანაში მიმდინარე დამანგრეველი პროცესები, ე.წ. **„ელიტარული ინტელიგენციის“** დესტრუქციული როლი, ქართველი ერის გენოციდისადმი მისი სამარცხვინო გულგრილობა. კერძოდ, ამ ელიტარულ მწერალ-მწიგნობართ მივმართე:

**„რატომ არ მოსთხოვთ პასუხს იმ პირებს, ვინც დამნაშავეა ჩვენი საშუალო და უმაღლესი განათლების დაშლა-განადგურებაში? რას აკეთებთ თქვენ, მწერლებო და პოეტებო, მაშინ, როცა საქართველო თაობას კარგავს — ახალგაზრდობა ირყვნება, ლოთობს, ვრცელდება ნარკომანია, ათასობით ქალი საკუთარ სხეულს ყიდის როგორც საქართველოში, ასევე თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში? რატომ დუმხართ მაშინ, როდესაც დასცინიან და ანადგურებენ ქართველი ხალხის საუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, უცერემონიოდ იდევნება და ამერიკანიზებული სუროგატით იცვლება ეროვნული კულტურა? რას აკეთებთ თქვენ ამ ტრაგიკულ დროს, სადაა ხალხისადმი მიმართული თქვენი სიტყვა, სადაა ხელისუფლებისადმი გამოხატული პროტესტი? რა უნდა მოხდეს კიდევ საქართველოში, რომ თქვენ ხმა ამოიღოთ? რით ხართ დაკავებულნი? წიგნებს წერთ? ვის სჭირდება თქვენი წიგნები, თუ მალე „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველიც კი აღარ იქნება საქართველოში?!“.**

ვშიშობ, ეს დროც მოვიდა...

# ქართველური ტოპონიმიის მნიშვნელოვანი შენაძენი

*(რეცენზია პროფ. პაატა ცხადაიას წიგნზე)*

ზემოთ თქმულში მეტი სიცხადის შესატანად აქვე მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

გ. ელიავა აბაშის რაიონის **„წყემის სასოფლო საბჭოს“** ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს 44 ტოპონიმს (ელიავა, 1977: 32-34). ამ ტოპონიმთა პ. ცხადაიას სალექსიკონო მასალასთან შედარებით გავარკვიეთ, რომ გ. ელიავას მიერ დამოწმებული მიკროტოპონიმები – ღელე ტეხური, ოთიფური, ცხირონი, ნიმატყა, რუსკარი, ჭობარი, ნაშენი, ეთუნგიე, ნაჯიხუ, დაჩა, წისქვიიკარი, ნაცაცხვერა, კადარი და ხარდანი არაა შესული პ. ცხადაიას ლექსიკონში. გ. ელიავა ასახელებს ტოპონიმებს: დადიაში ნოხორიი **„დადიანის ნასახლარი“**, ტამური, ეწერი, ჯახირი, დაბაი ტყა **„დაბალი ტყე“**, ანა?ური, ტები, ზუგა, ჩეშონა... პ. ცხადაია კი თავის წიგნში წარმოგვიდგენს ტოპონიმთა ვარიანტულ, პარალელურ ფორმებს: დადიაშ დოხორე//კოკიშ დოხორე, ტაბური, ეწერობა, ჯიხირი, დაბალი, ალანური, ტებონა, ზუგუ//ცხაცხუჯინჯი, ჩეჩონა//ჩოჩონა...

უაღრესად საგულისხმოა პ. ცხადაიას მსჯელობა აბაშის რაიონის ოიკონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხებზე, რაც მოცემულია წიგნის პირველ ნაწილში. ამჯერად ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მკვლევარი **„გეზათის“** ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას იმოწმებს ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისს, რომ **„-ათ სუფიქსს თვლიან ქართული -ეთ სუფიქსის ზანურ შესატყვისად“;** თუმცა გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად -ათ სუფიქსის გამოყოფა მაინც სადაოა. პ. ცხადაია სამეგრელოს ტოპონიმიაში გამოყოფილ -თი დაბოლოებას მორფემოიდად მიიჩნევს. -თი **„წარმოქმნის ჯგუფურ ანთროპონიმებს, რომლებიც ხშირად ტოპონიმებადაც იქცევა: თოლორდა (გვარსახელი თოლორდავა) თოლორდათი „თოლორდას შთამომავალნი, თოლორდას მოდგმა“. ამგვარი ანთროპონიმი ხშირად გადადის ტოპონიმის რანგში. მაგრამ -თი დროთა განმავლობაში იქცა მორფემოიდად და გაუტოლდა სპეციფიკურ ტოპოფორმანტს. ამიტომ შემორჩენია უბნებს ასეთი სახელწოდებანი: თოლორდათი//სათოლორდო, ბერიათი//ლებერიე“** (იქვე: 19).

მსგავსი წარმოებისაა აბაშის რაიონის რამდენიმე ოიკონიმი: გულუხეთი, ზანათი, გუგუნაყათი, სეფიათი//სეფიეთი. საინტერესოა პ. ცხადაიას მსჯელობა ოიკონიმ გუგუნაყათის ( მეგრ. გუგუნა?ათი) ეტიმოლოგია-მოტივაციაზე. ქართველურ ენებში ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად თანხმოვნის ჩართვა რომ საჭიროა, ცნობილი ფაქტია. მკვლევარი თქმულის საილუსტრაციოდ იმოწმებს მაგალითებს ი. ყიფშიძის ნაშრომიდან: მა **„მე“** მა-ვა **„მეო“**, მუ ფქიმინა **„რა ვქნა“** მუ ფქიმინა-ვა **„რა ვქნაო“** (ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ. თბ., 1994: 43). მეგრულში დღეს, მართალია, საგანგებო საგვარსახელო სუფიქსებია -ვა, -ია, -უა ბგერათკომპლექსები, მაგრამ ირკვევა, რომ ისტორიულად ამ ფუნქციას -ა ხმოვანი ასრულებდა. **„ქართული სამართლის ძეგლების“** მრავალტომეულში დასტურდება გვართა შემდეგი ფორმები: გუგუნაა, ნიკოლაა, შაფათაა... ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად მოხდა ამ გვარებში ვ თანხმოვნის ჩართვა, რის გამოც მივიღეთ გუგუნავა, ნიკოლავა, შაფათავა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა ბგერაც. ამის მაგალითია გვარი გუგუნავა და მის გვერდით გამოყენებული გუგუნა ა ფორმა. მაშასადამე, დაასკვნის პ. ცხადაია, გვარსახელ **„გუგუნა აში ისეთივე ჩანართია, როგორიც ვ. ასეთ შემთხვევაში: გუგუნა ა (გვარსახელი) გუგუნა ათი „გუგუნა ას ოჯახი, გუგუნა ას შთამომავლობა“ (ჯგუფური ანთროპონიმის ტოპონიმთა რანგში გადასვლა სამეგრელოს ტოპონიმიაში იშვიათი აღარაა). გუგუნაყათი მეგრული გუგუნა?ათის ქართული ვარიანტია“** (იქვე: 38).

ოიკონიმ **„ნორიოს“** მკვლევარი უკავშირებს წყლის ასამაღლებელი მოწყობილობის არაბულ სახელს – ნურიას: ნურია ბორბლისებური მოწყობილობა ყოფილა, აღმა (ფერდობზე) წყლის მისაწოდებელი (იქვე: 47-48).

პ. ცხადაია იმოწმებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (კ. ჰანი, კ. კაჭარავა, ი. კეკელია) ოიკონიმ **„წალიკარის“** ამოსავალ ფუძესთან დაკავშირებით. 2010 წელს გამოცემულ ნაშრომში (**„აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი“**) გამოვთქვით მოსაზრება, რომ წალიკარის ამოსავალი ფუძეა მცენარის სახელწოდება წალიკა, ხოლო -არ საწარმოქმნო სუფიქსი კრებითობა-სიმრავლის გამომხატველია და -ნარ სუფიქსს ემსგავსება. მაშასადამე, წალიკ-არ-ი იგივეა, რაც **„საწალიკე“**, ადგილი, სადაც მრავლად ხარობს მცენარე წალიკა (კეკელია, 2010: 85). პ. ცხადაია ამასთან დაკავშირებით დაასკვნის: **„მისაღები იქნებოდა ი. კეკელიას განმარტება, რომ წალიკარი** (წალიკნარი წალიკა) **„იგივეა, რაც „საწალიკე“..., მაგრამ სიტყვა წალიკა (ბალახია ერთგვარი) მეგრულში არაა გავრცელებული (შდრ. ა. მაყაშვილი: წალიკა – მეგრ. სარდაკია, სანდრაკია). ქეგლ-ისა და ალ. ღლონტის „სიტყვის კონის“ მიხედვით, სიტყვა წალიკა გავრცელებულია ქართლურ, გურულ, იმერულ დიალექტებში (შდრ. რაჭა-იმერეთის გამყოფ ქედზე საძოვარს ეწოდება საწალიკე“** (ცხადაია, VIII, 2014: 89).

პატივცემული მკვლევარისთვის ასევე მიუღებელია ოიკონიმ **„ტყვირის“** ჩვენეული განმარტება. ვეყრდნობოდით რა ა. ქობალიას **„მეგრულ ლექსიკონში“** მოცემულ ტყვირი სიტყვის განმარტებას, ვფიქრობდით, რომ შესაძლებელია სოფლის სახელწოდება ტყვირის სემანტიკაც დაკავშირებული ყოფილიყო ტყის, ეკალბარდის მნიშვნელობასთან (კეკელია, 2010: 77). მაგრამ ამ შემთხვევაში, დასძენს პ. ცხადაია, ასახსნელია ოიკონიმ ტყვირ-ში -ვ თანხმოვნის არსებობა, ვინაიდან ბგერაფონემის მთავარი დანიშნულებაა ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ცვლა (იქვე: 92-93).

პ. ცხადაიას მიერ გამოცემული წიგნი მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველია. ამიტომ მისი გამოცემით ავტორმა დიდი სამსახური გაუწია ქართველური ტოპონიმიის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ამჯერად მკითხველს გვსურს გავაცნოთ ჩვენი შეხედულება ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რამაც ყურადღება მიიქცია წიგნის წაკითხვისას.

ცნობილი ფაქტია, რომ ტოპონიმში შეიძლება დადასტურდეს ისეთი სახელწოდება, რომლის ამოსავალი საზოგადო სახელი არ დასტურდება დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში. აბაშის რაიონში ჩაწერილ ტოპონიმთაგან ასეთია ჯაღელური//შონიაშ ოლე – სახნავის სახელწოდება ნოღელის მარჯვენა მხარეს, სოფ. ტყვირში. **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“** მიხედვით ოლეს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას; 2. ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე (ან ბუჩქი)... შენ ლიახვის კლდეზე დგახარ ძველი მოსასხამით, – ოლე, ოლე, მარტო ხეო, დღისითა და ღამით (გ. ლეონ.); 3. კუთხ. (ქართლ., გ.-კახ.) იგივეა, რაც ბერყენა; 4. კუთხ. (რაჭა) იგივეა, რაც ბუჩქნარი. ოლე **„მეზობელი, გვერდით მდებარე, მოსაზღვრე“** – განმარტავს პ. ცხადაია (იქვე: 283). მაშასადამე, ტოპონიმის შემთხვევაში ოლე ტერმინს სხვა მნიშვნელობა შეუძენია. მარნის გორა ეწოდება საძოვარს სოფ. მარნის საზღვარზე, თხმელარში. გ. ელიავას ტერმინი მეგორავე ახლო მეზობლის, ძირის მეზობლის მნიშვნელობით ჩაუწერია მარანში, სამიქაოში, გეზათსა და ქოლობანში. გადმოცემით, წინაპრებს გორაზე უცხოვრიათ. გორიდან ჩამოსულ ძმებს, მეზობლად მცხოვრებ ახლობლებს, ძირის მეზობლებს მეგორავეს ეძახდნენ თურმე (ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო. ალბომი. ქუთ., 1989: 107). მასასადამე, ტოპონიმ მარნის გორაში გორა საზღვრის აღმნიშვნელია (იქვე: 168).

როგორც სალექსიკონო მასალების გულდასმითი ანალიზიდან ჩანს, აბაშის რაიონის ტოპონიმიაში ინდიკატორად გამოყენებულია გორა, ზუგა (ზურგა, ზუგე), ნასახლარი (ნამოსახლარი, ნამოსახლი), წყალი, ხევი, ხაბო, შანი, წყურგულე **„ცივწყარო“**, ტყე, ტყა **„ტყე“**, თავი, დუდი **„თავი“**, ჭალა, კარავი//კარე (ნაკარუ), ძირი, ჯინჯი **„ძირი“**, უბანი, კუთხე, ქუჩა, კარი, მუხური//მუხურე, გზა, წისქვილი, ნაწისქვილარი, ღელე, ღალი **„ღელე“**, ოთიფურე **„სათიბი“**, ყანები, ზღვაურა, მაღალი, დაბალი, გაღმა, გამოღმა, ბეგი, ეკლესია, ოხვამე **„ეკლესია“**, ბოგირი, მიწა, დიხა „მიწა“, პირი, პიჯი **„პირი“**, ყანა, ყვანა **„ყანა“**, ხიდი, ხინჯი **„ხიდი“**, ბოგა (ბოგირი), მინდორი (მიდორი), ფართობი, წკოპი, ფშიარი, ჭორთი, ფონი, საბანაო, მამული, დობერა (დობირო), ეზო, ნაეზვარი, ძგა **„კიდე“**, სამანი, პარონი, დამბა, რიყე, ციხე, ქალაქი, სოფელი, ღარი, არხი, რჩქონი//ჩქონი, ტობა **„ტბა; ღრმა“**, ხაბო, წაკორტი, კოდე, ხარდანი, ჩაი და სხვ. მრ.

გვხვდება დრიმონიმის (ტყის სახელის) ოიკონიმად ქცევის მაგალითები: სუჯუნა **„სუროვანი“** ტყის სახელი აქ გაშენებული სოფლის სახელად ქცეულა; თხმელარი **„თხმელნარი“** სოფელია პირველი მაისის თემში...

ლანდშაფტის ამსახველი ონიმი მაიდანი **„მოედანი“** სოფლის სახელად გვხვდება: მაიდანი ეწოდება სოფელს სამიქაოს თემში.

ნაგებობის სახელის ოიკონიმად ქცევის ნიმუშია მარანი. ასე ეწოდება სოფელს ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე.

სამკომპონენტიანი ტოპონიმია წყარდანოღელაშუა. პ. ცხადაიას ცნობით, ამ სახელს ატარებს სახნავი და წყაროს შესართავი მდ. ნოღელასთან, სოფ. მაიდანში (იქვე: 272). საგულისხმოა ის გარემოება, რომ დამოწმებული ტოპონიმი ორენოვნების ნიმუშსაც წარმოადგენს. პირველი კომპონენტი წყარ მეგრულში აღნიშნავს **„წყალს“**.

ჰიბრიდული ინტერფერენციის ნიმუშებია: ჭალის კუთხე//გულეკარიშ ჭალე (პ. ცხადაიას კომენტარი ამ ტოპონიმთან დაკავშირებით: გულეიკარში **„დასტურდება ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ერთ ობიექტს (სოფლის უბანს) ორი სახელწოდება აღნიშნავს – ერთი ქართული და ერთიც მეგრული“), გვატილიაშ ნამოსახლარი „გვატილიას ნამოსახლარი“** და სხვ.

დასტურდება -ობა ნაწილაკით ნაწარმოები რამდენიმე მიკროტოპონიმი: ბოხურობა, ეზოობა, კარობა, კოდორობა, ნაეზვარები//ეზოობა, ნოხორიეფი//ნოხორიობა, ნოხორობა, რიონპიჯობა, ჩიტიების ეზოობა (იქვე: 122, 141, 153, 159, 176, 196, 262). პ. ცხადაიას აზრით, „სუფიქსი -ობა ფუნქციით უტოლდება -ეფ-ს“ (იქვე: 196). ა. ქობალია შენიშნავდა, რომ -ობა დღეობის აღმნიშვნელი ნაწილაკია. შდრ. გერგობა, ელიობა (ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 529). ო. ქაჯაია მიიჩნევს, რომ -ობა, -ობუა სუფიქსები აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებითი, ზედსართავი და კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბ., II, 2002: 417).

გვხვდება აგრეთვე ნა-, ნო- და სა- პრეფიქსიანი, ნა-ო, ნა-უ, ნა-ა, ნა-ევ, ნა-ებ, ო-ე, სა-ა, სა-ე და სა-ო პრეფიქს-სუფიქსიანი, -ურ//-ულ, -ონა, -ონი სუფიქსებით გაფორმებული ტოპონიმები (ნაბოსელო, ნადიდცხენწყარო, ნადიზელო, ნააბაშუ, ნადუქანუ, ნათუნთერა, ნაკარენი, ნამარილევი, ნამოცორეზები, ნასაყდრი, ნასახლი, ნოკარენი, ნოჯიხენი..., ობერგულე, ოთიფურე/ი..., სააგურე, საბალახო, საბატია..., ბებური, ბოხური, გვალური, გრიგოლ(ა)ური, გუდური, ზანგური, იობური, კაცობური, დო(?)ონური..., გედერული, კართხული, თხირნა, თხირონა, კალამონა, თხომულონი, კვადაცონი, კორცხელონი...).

წიგნში გვხვდება გვართაგან ნაწარმოები ტოპონიმების შემდეგი ფორმები: ბოცვაძნების მინდორი, გვაზავნების ნამოსახლი, გოგავნების უბანი, ტაბიძნების ნაწისქვილარი, ჯიბლაძნების კუთხე, ჯიბლაძნების ნაქონვარი.

გვართა დასახლებანი წარმოდგენილია შემდეგი სახით: გრიგოლიები// გრიგოლიების კუთხე, დარცმელიძეები//დარცმელიძეების უბანი//დარცმელიძეების ქუჩა, კაჭარეები//კაჭარავების უბანი//საკაჭარაო, კვანტალიანები//კვანტალიანების ქუჩა, ლეჟავები//ლეჟავების უბანი, ლოჩოშვილები, მიქაძეები//მიქაძეების ქუჩა, რუსიები, სიმონიშვილები, ქობულიები, ქორქაშვილები, ქურდბაძეები, ჩაჩიბაიები, ჩორგოლაშვილები...

სა-ო ინფიქსითაა ნაწარმოები სააxობაძო, საბოკერიო, საბჟალიო//ბჟალავების უბანი, საგაბლაიო, საგაბუნო, საგამსახურდიო, საგოჩოლისქუო, საგუგუსქუო//საგუგუშვილო, სადავითაიო, სათოფურიო, საკორძახიო, საღვანიო, საჩოჩიო...

ცნობილია, რომ ლე- პრეფიქსი -ე სუფიქსთან ერთად სამეგრელოში გვარებისგან აწარმოებს ადგილთა სახელებს (შდრ. ლევახანე, ლეკეკელე, ლეფოჩხუე...). მისი ქართული ეკვივალენტით – სა-თი გაფორმებულ 80-ზე მეტ გვართა დასახლებას ასახელებს პ. ცხადაია აბაშის რაიონის ტერიტორიაზე, მაგრამ ლე-ე ინფიქსით გვართა დასახლების არც ერთი შემთხვევა მის წიგნში დამოწმებული არ არის. მისგან განსხვავებით გ. ელიავა აბაშის რაიონის ტოპონიმთა ნუსხაში ლე-ე ინფიქსით გაფორმებულ არაერთ გვართა დასახლებას ასახელებს. მაგალითად, ეგვიე, ეგოგიშვილე, ეგუჯუე, ეთუნგიე, ეჟვანიე, ერუბინიე, ეჩიტიე, ეჭიე (ელიავა, 1977: 16, 29, 31, 33, 30, 39, 50).

აბაშის რაიონში ფიქსირდება შტოგვარებითა და ჯგუფური მეტსახელებით სახელდებული ობიექტები. მაგალითები: ბაბუესქუაშ კარე (ბაბუესქუა ნადარეიშვილთა ერთ-ერთი შტოგვარია), ბადალეების წყარო (ბადალეები მიქაძეების ერთ-ერთი შტოგვარია), ბარდლების რიყე, ბარდლების ყანა (ბარდალა ჯანგველაძეების კილია. მოტივაცია: გვარის წინაპრები ბარდალობდნენ, ანუ გაუგებრად ლაპარაკობდნენ თურმე), იქმოდეიშვილების ქუჩა//მოთოთი (მოთოთი ამ გვარის კილია), საგუჯუე (ნადარეიშვილების შტოგვარია გუჯუ), სახარასქუო (ხარასქუა ჭანტურიას შთამომავლების ჯგუფური მეტსახელია). ზედა მაიდანში უბნის სახელწოდებაა ბოგანოების ქუჩა. მოტივაცია: სხვადასხვა კუთხიდან გამოქცეულ, უსწავლელ და გაუნათლებელ ხალხს აქ არსებული ტყისთვის შეუფარებია თავი. ბოგანოები მათი მეტსახელი ყოფილა (იქვე: 120).

ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაციის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს ანალური ალანური **„ალანიასეული“** (ალანია გვარია), რაც მიღებულია ბგერათგადასმის გზით (შდრ.: თხინვალი *თხილვანი, დანისპარაული *დარისპანაული).

საინტერესოა აგრეთვე დაკვირვება შემდეგ ტოპონიმებზე: კუციაშ უკახალე **„კუციას უკან“**, გოჯოუკა(ნ), ხიდეშთუდო **„ხიდსქვემოთ“**, ბჟველეები, ორჟველები, ჟველეები (სამივე ტოპონიმის ამოსავალია ბჟოლა (ბჟოლის ხეები)), გძელეკლიანი, გძელფონი (რ თანხმოვანი დაკარგულია), ნოღლიპირები (ნოღლიპირი ნოღელიპირი), სამძირხე (გზისპირას მდგარი სამი ვერხვისგან წარმოსდგება), ჯიპიჯი (ჟიპიჯი ჟირპიჯი **„ორპირი“**). ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტოპონიმთა შემდეგი ფორმები: თამარიის თხილები, კოლიის დაბალი, ფილიპიის კარავი, ფილიპიის ყანა, კორკონჯიის ნამოსახლი, მაიის წკოპი, ტოტიის ფშიარი, კოსტანტილეს წყარო... რა თქმა უნდა, ამგვარი ფორმები (პირსახელი + -ია ან -აია > ნათესაობით ბრუნვაში -იია ან -აიის სემოსულია იმერულიდან (ფილიპიის ნაყანები, გოჩაიის ღელე, ლუკაიის ტყე და სხვ.).

წინამდებარე რეცენზიაში ჩვენ მიერ დამოწმებული გეოგრაფიული სახელწოდებების ზოგადი, საინფორმაციო ხასიათის ანალიზიც ცხადყოფს, თუ რამდენად ფასეულია ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის პ. ცხადაიას მიერ საველე ექსპედიციების გზით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში მოპოვებული და გასულ წელს ცალკე წიგნად გამოცემული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალები.

ტოპონიმებმა – ერის ისტორიის უტყვმა ძეგლებმა, შემოგვინახა შორეული წარსულის ამსახველი უნიკალური ინფორმაცია, ხოლო პაატა ცხადაიას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ წლების მანძილზე დაუღალავი და მძიმე შრომით ღია ცისქვეშ მოძიებულ-მოქუჩებული უტყვი ძეგლები დროის ქარაშოტს გამოარიდა და შთამომავლობას მოსავლელად და საპატრონოდ შემოუნახა.

***იგორ კეკელია,***
***ისტორიის დოქტორი***
*(წერილის დასასრული)*

# იური იზიუმოვი: 9 აპრილი ედუარდ შევარდნაძისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია

*ჯუმბერ პატიაშვილი: რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე*

რამდენიმე ხნის წინათ **"ლიტერატურნაია გაზეტას"** მთავარი რედაქტორის პირველმა მოადგილემ 1980-1990 წლებში, შემდეგ გაზეთ **"გლასნოსტის"** მთავარმა რედაქტორმა, რამდენიმე წიგნისა და უამრავი სტატიის ავტორმა იური იზიუმოვმა გაიხსენა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოების ისტორია. მან, აგრეთვე, გაიხსენა, როგორ ინგრეოდა საბჭოთა კავშირი და რა იწინასწარმეტყველა სტალინმა 1939 წლის ნოემბერში, როდესაც შვედეთში სსრკ-ის ელჩს – ალექსანდრა კოლონტაის შეხვდა. აი სტალინის ნათქვამის მცირე ფრაგმენტი:

**"ჩვენი პარტიისა და ხალხის ბევრ საქმეს შერყვნიან და მიაფურთხებენ, უწინარესად – უცხოეთში და ჩვენს ქვეყანაშიც... შეეცდებიან, მკაცრად დაგვსაჯონ ჩვენი წარმატებებისა და მიღწევებისთვის. ჩემს სახელს ლაფში ამოთხვრიან, ცილს დამწამებენ. მომაწერენ უამრავ ბოროტმოქმედებას. მთელი ძალით შეეცდებიან ჩვენი კავშირის განადგურებას, იმისათვის, რომ რუსეთი ველარასოდეს წამოიმართოს. საბჭოთა კავშირის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლა მიმართული იქნება, პირველ რიგში, ამ მეგობრობის რღვევისკენ, რუსეთისთვის განაპირა მხარეების ჩამოსაცილებლად... თავს წამოყოფს ნაციონალიზმი. ის რაღაც პერიოდში შეავიწროებს ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს, ოღონდ რაღაც დროის განმავლობაში. ერთა შიგნით აღმოცენდება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გამოჩნდებიან უამრავი ბელადი-პიგმეები, თავიანთი ერების გამყიდველები. საერთოდ კი, მომავალი განვითარება უფრო რთულად და გააფთრებულად წარიმართება, ამ გზაზე მოსახვევები იქნება ძალიან მკვეთრი, საქმე იქით მიდის, რომ განსაკუთრებით აფორიაქდება აღმოსავლეთი".**

იზიუმოვის მონათხრობიდან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შეფასება და იმ ადამიანების სახელების სააშკარაოზე გამოტანა, რომელთა ხელითაც ეს ყველაფერი მზადდებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს ახალი და უცნობი არავისთვის არაფერია, მაგრამ წლების შემდეგ ამის გახსენება მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება.

დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე საქართველოს ძალიან ბევრი მძიმე დღე ჰქონდა, მაგრამ 9 აპრილს, ღამით ჩვენ თვალწინ მომხდარი მოვლენები დღემდე შემზარავად გვახსენდება და თითქოს ამაზე საუბარს ვერიდებით კიდეც.

გადის დრო და ხანდახან მოკრძალებულად ვმსჯელობთ, ვინ იყო დამნაშავე იმ ახალგაზრდების დაღუპვაში – გარეშე თუ შინაური მტრები? მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტს არაჩვეულებრივი ადამიანი ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო ეროვნულ მოძრაობას – ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უდგნენ სათავეში, ადამიანები, რომელთა სახელებსაც დიდი რუდუნებით ინახავს ქართველი ერი.

გთავაზობთ ამონარიდს იური იზიუმოვის ვრცელი წერილიდან:

**"ყველაზე დრამატული ჩემთვისაც და რედაქციისთვის თბილისის ცნობილი მოვლენები გახდა. 1989 წლის 1 თუ 2 აპრილს ჩემთან თხოვნით მოვიდა იური როსტი (ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი – რედ.) – სასწრაფოდ გამეგზავნა თბილისში მივლინებით. მისი ქართველი მეგობრები მოელაპარაკნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ჯუმბერ პატიაშვილს "ლიტგაზეთისთვის" ინტერვიუს მიცემაზე. დრო არ ითმენდა, სასწრაფოდ გაფრენა იყო საჭირო, რადგან შემდეგ ჯუმბერ პატიაშვილი იქ აღარ იქნებოდა (თითქოს წინასწარ იცოდა!). მოკავშირე რესპუბლიკის პირველი პირის გამოსვლა ნებისმიერ გაზეთს დაამშვენებდა, მით უფრო ჩვენსას, რომელშიც მნიშვნელოვანი პარტიული მუშაკების გამოსვლები იშვიათი იყო. მივლინება გააფორმეს.**

იური როსტი რედაქციაში განსაკუთრებული ფიგურა იყო. ის მუშაობდა ვასილი პესკოვის მიერ დამკვიდრებულ ჟანრში: "ორიგინალური ფოტო", რომელიც გაზეთისთვის დამახასიათებელ ფოტოებს არ ჰგავდა, თანმხლები ტექსტით. "როსტის ფანჯარა", როგორც შემდგომ მონათლეს, მისი პუბლიკაციები მოგვითხრობდა ჩვენი ხალხის სულიერ სილამაზეზე, მათ მდიდარ, ყოველთვის განსაკუთრებულ შინაგან ცხოვრებაზე. ეს პუბლიკაციები დაახლოებით თვეში ერთხელ გამოჩნდებოდა და ამშვენებდა ნომერს. იური როსტი თავისი ტალანტისა და იშვიათი პიროვნული თვისებების წყალობით რედაქციის ნებიერა იყო. მას შეუქმნეს ყველა პირობა შემოქმედებითი მუშაობისთვის და მისცეს სრული თავისუფლება თემისა და სიუჟეტის არჩევაში. 9 აპრილის წინ თბილისიდან მოდიოდა და მოდიოდა ერთი მეორეზე საგანგაშო შეტყობინებები. "ტასის" კორესპონდენტები, რადიო და ტელევიზია იუწყებოდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ უზარმაზარი პროცესია მიემართებოდა. ხალხს მოჰქონდა ყვავილები, მღეროდა. საღამოს ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ ხალხს გზა გადაუღობეს სამხედროებმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ნიჩბებით. ისინი თავს დაესხნენ მშვიდობიან მანიფესტანტებს, ურტყამდნენ ნიჩბებს, გაუშვეს გაზი "ჩერიომუხა", რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. ასეთი შინაარსის მოკლე კორესპონდენცია მოვიდა თბილისიდან. მთელი რედაქცია, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო და საქართველოში მიმდინარე პროცესის ცხარე განხილვაში მონაწილეობდა.

საკითხავი იყო: რატომ მოეწყო მშვიდობიანი მსვლელობა ყვავილებით ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ? და თუ ეს მსვლელობა მშვიდობიანი იყო, მაშინ რატომ გამოიყვანეს მის წინააღმდეგ ჯარები? იმიტომ, რომ ჯარისკაცებს ქალები ნიჩბებით დაეკეპათ?

უამრავი კითხვა გაჩნდა, მაგრამ მათზე პასუხს მოსკოვში ვერ იპოვიდი.

ვრეკავ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, ვიცი, რომ იქ მივლინებით იმყოფება ჩვენი კურატორი სერგეი სლობოდიანიუკი. ის ყვება, რომ ქალაქში, მეორე დღეა, არეულობაა. სიტუაცია მწვავდება. რა მოხდება შემდგომ, ძნელი სათქმელია. რა უნდა ვქნა? თვითონ ვწერ შენიშვნას სლობოდიანიუკის მონათხრობის მიხედვით და ვდებ ნომერში, მეორე სვეტში, რათა შემდეგ ნომერში, როცა ყველაფერი გაირკვევა, მივცე უფრო სრული მასალა. გარშემო ჩვენი "დემოკრატები" ბობოქრობენ, რომლებსაც, როგორც ჩანს, უკვე აქვთ წარმოდგენილი, როგორ უნდა გააშუქონ თბილისის მოვლენები. ჩემით უკმაყოფილონი არიან: "აი პარტიული დიქტატორი, აი, ასე ახშობენ თავისუფალ სიტყვას".

მეორე დღეს ჩამოფრინდა როსტი, ყვება: მიმდინარეობდა მრავალათასიანი, მშვიდობიანი დემონსტრაცია. ხალხი ანთებდა სანთლებს, მღეროდა, ცეკვავდა, არავითარი აგრესია. და გვიჩვენა ტრაგედიის შემდგომ დილით გამოსული ქართული ახალგაზრდული გაზეთი, რომელშიც როსტის მიერ გადაღებული დაღუპული ქალების ფოტოები იყო. ვიდრე ამ ფოტოებს ვათვალიერებდით, ლაბორანტმა მოგვიტანა გამჟღავნებული ფირები იმ კადრებისა, რომლებიც როსტმა გადაიღო თბილისში. აღმოჩნდა, კადრები იგივეა, რაც ქართულ გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ ერთი განსხვავებით: ამ ფირებზე გარდაცვლილებს სახეზე არანაირი ნაიარევი არ ეტყობათ. ნებისმიერი პროფესიონალი მიხვდებოდა, რომ თბილისის გაზეთისთვის ეს ნაიარევები რეტუშით, ხელოვნურად გააკეთეს. როსტმა ეს ვერაფრით ახსნა; გვითხრა, რომ თბილისში ფირები მის გარეშე დაამუშავეს.

საღამოს როსტი უკვე ტელეეკრანიდან იმეორებს თავის ვერსიას და აცხადებს, რომ რცხვენია "ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებული მასალის გამო. გადაცემის სხვა მონაწილეები ცდილობენ, აღაშფოთონ აუდიტორია იმის მოთხრობით, თუ როგორ მისდევდა ქუჩაში რუსი ჯარისკაცი ხანდაზმულ ქალბატონს, როგორ დაეწია, ნიჩაბი თავში ჩაარტყა და სული გააფრთხობინა. ერთმა საღამომ როსტი ცნობილი ადამიანი გახადა.

რა მოხდა სინამდვილეში?

როსტთან ამის გარკვევას აზრი არ ჰქონდა. იური როსტი ერთხანს დამადანაშაულებელი ტელეშოუების გმირად იქცა. ბევრი გაზეთის თვალში ის იყო სიმართლისთვის შეუდრეკელი მებრძოლი, რადგან, როცა ყველა მხრიდან სიცრუის ნიაღვარი მოედინება, მასთან დაპირისპირება ბევრს როდი შეუძლია. ვერც როსტმა შეძლო. როგორ უნდა მოსთხოვო ადამიანს ის, რაც არ შეუძლია?! აი, ასეთი გამართლება მოვუძებნე მე მას: რეპორტიორი და არა სიმართლისთვის მებრძოლი, როგორც მაგალითად, რუბინოვია, ხედავს მხოლოდ იმას, რასაც აჩვენებენ. სანთლები და ყვავილები აჩვენეს, მაგრამ როგორ ვერ უნდა შეამჩნიო პატრიარქ ილია მეორის მიმართვა, დაეტოვებინათ მოედანი, რათა თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა? იმის წარმოდგენაც კი, რომ როსტი, ისევე, როგორც ანატოლი სობჩაკი, ელემენტარულად, მოისყიდეს, არ შემეძლო. წინდახედულმა ქართველებმა ის მომენტი, როცა ანატოლი სობჩაკს ფულს გადასცემდნენ, ვიდეოზე გადაიღეს, ფირი დღემდე შენახულია. მაგრამ ჩვენი მომხიბვლელი გაიძვერა როსტი... ღმერთმა განსაჯოს. ხომ გამოქვეყნდა დოკუმენტები, მოვლენების მონაწილეთა ჩვენებები, მედიკოსთა დასკვნები იმის თაობაზე, რომ უბედური ქალბატონები იმ საბედისწერო დღეს ჭყლეტაში დაიღუპნენ, ისევე, როგორც წლების წინათ სტალინის დასაფლავებაზე, და არა, პროვოკატორების მიერ გამოგონილი გაზითა და ნიჩბებით? სინამდვილეში ამ ახალგაზრდების მკვლელები არიან ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ გორბაჩოვი, რომლებმაც არ მიიღეს არანაირი ზომები, როცა მათ მოსკოვში მიმართა საქართველოს ხელმძღვანელობამ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელმა, გენერალმა იგორ როდიონოვმა. მაგრამ როსტი, აგერ უკვე 20 წელიწადია, ყოველ ხელსაყრელ სიტუაციაში ატრიალებს იმავე ფირფიტას, რომელსაც 1989 წელს ატრიალებდა.

საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსი გუმბარიძე ნაბიჯს არ დგამდა შევარდნაძის გარეშე, ყველაზე დამპალი ის აღმოჩნდა. მომხდარის შემდეგ მას ესაუბრა ევგენი პრიმაკოვი, გააფრთხილა, შევარდნაძე გაიძვერაა და შენც დაგღუპავს და საქართველოსაცო. და რა ქნა გივი გუმბარიძემ? – ყველაფერი შევარდნაძეს უამბო.

გორბაჩოვმა შევარდნაძე დაუყოვნებლივ გაგზავნა თბილისში წესრიგის დასამყარებლად. შევარდნაძემ გაბედა და მაშინვე არ გამოემგზავრა, რათა შეთქმულთათვის ხელი არ შეეშალა. ის თბილისში დილის 9 საათზე ჩამოფრინდა, პროვოკაცია კი დილის 4 საათზე დაიწყო.

ყველაფერი, რაც 9 აპრილის დილას მოხდა, შევარდნაძისა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილია.

მზადება ნახევარი წლის განმავლობაში მომდინარეობდა. ეს ყველაფერი ბოლო ხანს დაწყებულ "პერესტროიკას" მოჰყვა.

შევარდნაძის მეთოდები ჩვენთან კარგად არის ცნობილი. ერთ დროს ბი-ბი-სი გადასცემდა მისი აგენტის წიგნიდან ცალკეულ თავებს, რომლებიც შინაგან საქმეთა მინისტრად მის მუშაობას შეეხებოდა. იგი აღწერდა, როგორ აწამებდნენ და ხოცავდნენ ადამიანებს მისი ბრძანებით. მთელი რესპუბლიკა ყურს უგდებდა და უცებ ბი-ბი-სიმ ეს გადაცემები შეწყვიტა".**

რა უსწრებდა წინ 9 აპრილის მოვლენებს ან იყო თუ არა იმის წინაპირობა, რომ თბილისში ახალგაზრდები ასე უმოწყალოდ დახოცილიყვნენ? ბევრი შეკითხვა დღემდე პასუხგაუცემელია. ადამიანები, რომლებსაც პასუხი აქვთ ამ კითხვებზე, ზოგი აღარც არის ცოცხალი, ზოგი ხელისუფლებაშია, ზოგი კი უკვე პოლიტიკური გვამია, თუმცა არც ერთი მათგანი იმ წლების გახსენებას და სიმართლის თქმას არ აპირებს, რადგან მისი გამოყენება საჭირო დროს არის შესაძლებელი...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი თავის მოგონებებში წერს: **"9 აპრილს არავითარი წინაპირობა იმისა, რაც მოხდა, არ ყოფილა. ყველაფერი ერთი კაცის დაგეგმილი იყო.**

**ეროვნულ მოძრაობას ერთი ადამიანი აძლევდა მითითებებს, ის სვამდა ციხეშიც და იქ ვინ რა მოვალეობას ასრულებდა, არავინ იცის. არავინ იცის, რატომ ისხდნენ ციხეში რესპუბლიკელები? ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი გია ჭანტურია? ან, ციხიდან რომ გამოვიდნენ, სად წავიდნენ და რას საქმიანობდნენ? საქმე ის არის, რომ ყველა მათი ქმედება განპირობებული იყო იმით, ვინ რას უბრძანებდა.**

**არეულობები 1988 წლიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობა და კომუნიკაცია მიხეილ გორბაჩოვთან, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან, სულ მქონდა. თბილისში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, მე მოსკოვში ვიყავი. საღამოს საათები იყო და გორბაჩოვმა დამირეკა, მითხრა, რომ თბილისში დეპეშა უნდა გამოეგზავნა. გორბაჩოვის გაგზავნილ დეპეშებს რა ამბავი მოჰყვებოდა ხოლმე სხვადასხვა რესპუბლიკაში, ეს უკვე ცნობილი იყო. დეპეშა რომ ჩამოვიდა, თბილისში მიტინგი დაიშალა, ეს ასეც იყო დაგეგმილი. მომიტინგეებმა ხმამაღლა დაიყვირეს – კრემლმა უკან დაიხიაო და დაიშალნენ. ყველანი დაკვეთას ასრულებდნენ. ამ ყველაფერს სათავეში ერთი კაცი – ედუარდ შევარდნაძე ედგა.**

**ამდენი წლის გადასახედიდან, ვფიქრობ, არაფრის შეცვლა არ შემეძლო მაშინ.**

**საბჭოთა კავშირი იმ სისტემამ დაანგრია, რომელიც დღემდე მუშაობს, შევარდნაძე პატარა ჭანჭიკი და კარგი შემსრულებელი იყო. მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის ჰყავდა ისეთი ადამიანები, როგორებიც ჩვენ გვყავდა ეროვნული მოძრაობის წევრების სახით, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ედუარდ შევარდნაძესთან. ამ მოსაზრებას გივი გუმბარიძის დანიშვნა ამყარებს. გუმბარიძე შევარდნაძის კაცი იყო.**

**და მაინც, რა მოხდა 9 აპრილს?**

**ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ იქ მაშინ ვინმე იარაღს გამოიყენებდა. ორი სახანძრო მანქანა იდგა, წყლის ჭავლით უნდოდათ ხალხის დაშლა და ნება არ მივეცი, იმიტომ კი არა, რომ ჩემებიც იდგნენ იქ, არა, აფხაზეთის გამოყოფის საკითხი იდგა და ამის წინააღმდეგი მეც ვიყავი, მომიტინგეებს მხარს ვუჭერდი. აქციის მონაწილეებს ვერ წარმოედგინათ, რომ აფხაზეთის საკითხი ისე გადაწყდებოდა, როგორც გვსურდა, ამიტომ უცბად, ვიღაცის ბრძანებით, სულელ ირაკლი წერეთელს შემოაგდებინეს თემა – საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდესო. აქ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა, ძალიან გულუბრყვილო უნდა ყოფილიყავი, რომ ჩარეულიყავი, თუმცა იმას, რაც მოხდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნამდვილად არავინ ელოდა. იგორ როდიონოვს ველაპარაკე დარბევამდე ნახევარი საათით ადრე, მსგავსი არაფერი უთქვამს. მე კი გული ცუდს მიგრძნობდა, მე რომ წინასწარ მცოდნოდა, რაც მოხდებოდა, აუცილებლად ხალხის გვერდით დავდგებოდი".**

აქ პატიაშვილის მოგონებას შევწყვეტთ და ნოდარ მელაძის, ბატონი ჯუმბერის მეგობრის, მოგონებიდან ამონარიდს შემოგთავაზებთ: **"ყველა ახლომდებარე შენობის თავზე სნაიპერები ისხდნენ, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ პატიაშვილი ხალხთან ჩავიდოდა, სნაიპერი მას აუცილებლად ესროდა და საშინელება მოხდებოდა. პატიაშვილი იმ ღამეს მომიტინგეებთან არ ჩავიდა, მოსკოვიდან ჩამოსულმა სპეცრაზმმა თბილისი იმ ღამესვე დატოვა. პატიაშვილის მკვლელობა მიზეზი გახდებოდა სასტიკი დარბევისა და მაგალითი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის".**

ნოდარ მელაძის ეს სიტყვები იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიფიქროთ, იური როსტმა იცოდა, ჯუმბერ პატიშვილის ლიკვიდაცია რომ იგეგმებოდა, რადგან მან გაზეთის ხელმძღვანელს უთხრა: – თუ ახლა არ გამიშვებთ თბილისში, მერე შეიძლება ჯუმბერ პატიაშვილი არ იყოს. თავად ჯუმბერ პატიშვილი ამბობს, რომ იმხანად თბილისიდან გასვლას არ გეგმავდა...

**ჯუმბერ პატიაშვილი: "9 აპრილის მოვლენების ამსახველი ფოტოები მხოლოდ იური როსტმა და გოგა ხაინდრავამ გადაიღეს, თუმცა საბოლოოდ როსტის გადაღებული ფოტოები გახდა ცნობილი, რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ესეც დაგეგმილი იყო.**

**შევარდნაძე ცოცხალი აღარ არის, თუმცა მაშინვე მქონდა შეკითხვები და პასუხს სულ ველოდი...**

**სწორედ ის შეკითხვები მქონდა, რომლებსაც ხალხი ახლა სვამს: როგორ მოხდა ეს ყველაფერი? როგორ და რატომ განვითარდა მოვლენები ასე ტრაგიკულად, მაშინ, როდესაც ამის წინაპირობა არ არსებობდა?**

**წლები გადის და შევარდნაძის დაგეგმილ, გაკვალულ გზაზე ვდგავართ. სულ მინდოდა მასთან საჯარო შეხვედრა... დაგეგმილი იყო აფხაზეთისა და ოსეთის დაკარგვაც, რომელსაც ხელს გარკვეული გარე ძალებიც უწყობდნენ და, რაც მთავარია, აქ სულ იყო საყრდენი ძალა, რომელიც დაკვეთას შეასრულებდა, არის დღესაც.**

**საბჭოთა კავშირის ქვეყნებს ეგონათ, რომ 1988 წელს დაწყებული მიტინგების მთავრობის სასახლის წინ ჩატარებას ხელს მე ვუწყობდი და მეკითხებოდნენ კიდეც, რატომ ვიყავი ამის მომხრე. ის, რაც საქართველოში მოხდა, არსად, არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მომხდარა.**

**არსებობს დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება, რომ მე, ჯუმბერ პატიაშვილს, ჯარი არ მომითხოვია და ხელი არაფერზე მომიწერია.**

**"წითელმა ჯვარმა" გარდაცვლილთა ექსპერტიზის დასკვნას ხელი არ მოაწერა, რადგან ის, რაც დასკვნაში ეწერა, არ ემთხვეოდა რეალობას. რუსეთიდან ჩამოსულმა პროკურორმა პროფესორ თამარ დეკანოსიძეზე თქვა, რომ არასწორად მოიქცა, როდესაც მოსკოვში ჩასულა, თავის კოლეგა ექიმებს უკითხავთ, ამ დოკუმენტებს, ამ დასკვნებს ხელი როგორ მოაწერეო. მისი პასუხი ყოფილა – "მაიძულეს". პროკურორი ამბობდა, დეკანოსიძე აუცილებლად დასაჭერი იყოო. თბილისში რომ ჩამოვიდა ეს ქალბატონი, ტელევიზიით საწინააღმდეგო რამ თქვა. თქვა, რომ იქ დააშინეს. რამდენიმეჯერ შევხვდი, მაგრამ თვალებში შემოხედვა უჭირდა.**

**იმ წლების ვიდეოჩანაწერები რომ არსებობდეს, სალაპარაკო აღარაფერი მექნებოდა, ყველასთვის ყველაფერი ცნობილი შეიქნებოდა – ვინ რა ჩაიდინა და რა მოიმოქმედა, თუმცა მჯერა, ისტორია ყველაფერს ფარდას ახდის, თავის სახელს დაარქმევს, მაგრამ ამასობაში ქვეყანა ინგრევა, დაინგრა".**

ჯუმბერ პატიაშვილს იური იზიუმოვის წერილზე კომენტარი ვთხოვეთ. მისი პასუხი მოკლე იყო: **"ძნელია იმჟამინდელი ამბების გახსენება, იზიუმოვის ეს წერილი რომ წავიკითხე, მოსვენება დავკარგე, ღამეები არ მძინავს. 25 წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულებზე, ადამიანთა სიბინძურეზე ერმა აგო პასუხი.**

**რა უნდა გითხრათ იმ დღეებზე? არ ვიცი, რაც ვიცი, ნეტავ, ისიც არ ვიცოდე".**

მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა

# “აბაშის ახალგაზრდული საკრებულო” აბაშის მუნიციპალიტეტში სხდომას დაესწრო



**“ადამიანი, კანონი, თავისუფლებას”** და აბაშის მუნიციპალიტეტთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, **“აბაშის ახალგაზრდული საკრებულოს”** წევრები ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის პროცესში ჩაერთვებიან.

როგორც მასმედიას **“ადამიანი, კანონი, თავისუფლებადან”** აცნობეს, აგვისტოში გამართულ სხდომას, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, მამუკა კვიტაშვილი უძღვებოდა, გამგეობის სამსახურის ხელმძღვანელები და **“ახალგაზრდული საკრებულოს”** წევრები ესწრებოდნენ.

ყოველკვირეული სხდომის ფარგლებში განხილულ იქნა აბაშის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები. მათივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში შემავალ თითქმის ყველა სოფელში ინტენსიურად მიმდინარეობს დაგეგმილი პროექტების განხორციელება. მამუკა კვიტაშვილის ინიციატივით, ახალგაზრდები ჩაერთვებიან მონიტორინგის პროცესში გამგეობის სამსახურებთან ერთად და პროექტების დასრულებამდე იქნებიან მიმაგრებულები იმ პროექტებზე, რომლებზეც თავად გამოთქვამენ სურვილს.

**“ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე იყოს ჩართული ამ პროცესში და დააკვირდეს პროექტების მიმდინარეობას. გამგეობისთვის და პირადად ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა. რაც მეტი ადამიანი და მით უმეტეს ჩვენი რაიონის ახალგაზრდა იქნება ჩართული ამ პროცესში, მით უფრო მეტად მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ამასთანავე, ეს იქნება ერთგვარი მონიტორინგის მექანიზმი, რათა პროექტები დაგეგმილ ვადებში განხორციელდეს”,** – განაცხადა აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მამუკა კვიტაშვილმა.

ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მიესალმებიან გამგეობის ამ გადაწყვეტილებას და მზად არიან სიამოვნებით ჩაერთონ აღნიშნულ პროცესებში.

**“აბაშის ახალგაზრდული საკრებულოს”** თავმჯდომარის, ვახტანგ ესაკიას განცხადებით, **“ახალგაზრდული საკრებულო”** სიამოვნებით ჩაერთვება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი პროექტების მონიტორინგში.

**“მნიშვნელოვანია ახალგაზრდული საკრებულოს წევრებმა ვიცოდეთ თუ რა პროექტები მიმდინარეობს რაიონში. როგორ დღეს ჩვენთვის გახდა ცნობილი, მხოლოდ ინფრასტრუქტურული კუთხით 130-ზე მეტი პროექტი მიმდინარეობს ჩვენს რაიონში. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მიმდინარეობს ქალაქის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ტროტუარების კეთილმოწყობა. ასევე, გამოვყოფდი სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ვფიქრობ, სწორედ ეს პროექტები ათწლეულების განმავლობაში დაგროვილ უამრავ პრობლემას მოაგვარებენ და ამასთანავე ჩვენ, ახალგაზრდებს გვექნება კიდევ ერთი სპორტული კომპლექსი, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას”,** – აცხადებს აბაშის ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე ვახტანგ ესაკია.

**“ადამიანი, კანონი, თავისუფლებას”** ინფორმაციით, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გამგეობის წარმომადგენლები ახალგაზრდებს თავად დაათვალიერებინებენ, ხოლო მონიტორინგის პროცესი მიმდინარე კვირიდან დაიწყება.

# „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის სავიზიტო ბარათი სწორედ „თავისუფალ სიტყვაზე“ ზეწოლა გახდა“

ტელეკომპანია **„რუსთავი2“**-ის ყოფილი მფლობელის სარჩელის საფუძველზე ტელეკომპანიის პარტნიორთა წილების დაყადაღებას თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლის კვალიფიკაცია მიანიჭეს **„ნაციონალურმა მოძრაობამ“** და მათთან დაახლოებულმა არასამთავრობო ორგანიზაცებმა; მათი შეფასებით, არხის საქმიანობის შეფერხება საფრთხეს შეუქმნის თავისუფალ მედიაგარემოს. ნაციონალები ხელისუფლებას ურჩევენ, შევარდნაძის შეცდომები არ გაიმეორონ. მათივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავისუფალ მედიას და განსაკუთრებით **„რუსთავი 2“**-ს ებრძვის.

სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე ლაპარაკობს სწორედ ის ჯგუფი, რომელსაც 2003-2012 წლებში მედიაზე ზეწოლის მდიდარი გამოცდილება გააჩნია – მივყვეთ ქრონოლოგიას.

**„ვარდების რევოლუციიდან“** ზუსტად სამ თვეში ნაციონალების მთავარი სამიზნე მისი შეფასებით, ოპოზიციური მედია გახდა – პირველი მსხვერპლი ტელეკომპანია **„იბერია“** აღმოჩნდა, რომელიც ასლან აბაშიძის გუნდის წევრს, **„ომეგა ჯგუფის“** მფლობელ ზაზა ოქრუაშვილს ეკუთვნოდა. მაშინდელი გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით და სანქციით, ფინანსური პოლიციისა და პროკურატურის სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანიაში შეიჭრა და ჟურნალისტებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევდნენ. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ **„იბერიამ“** მაუწყებლობა შეაჩერა. ტელეკომპანიასთან ერთად დაიხურა ჰოლდინგში შემავალი გაზეთი **„ახალი ეპოქაც“**.

მოგვიანებით, **„იბერიას“** ბედი გაიზიარა ტელეკომპანია **„მზემ“**, რომლის საკონტროლო პაკეტს ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი ფლობდა – ნაციონალებმა ჩხარტიშვილს საკანტროლო პაკეტი დაათმობინეს და ამით ტელეკომპანიაც დაიხურა.

**„მზეს“** უკვე მიჰყვა ტელეკომპანია **„202“** – როგორც მაშინ ითქვა, ნაციონალების პროვოკაციას წამოეგნენ ტელეკომპანიის დამფუძნებლები და წამყვანი შალვა რამიშვილი, შედეგად – რამიშვილი ციხეში აღმოჩნდა.

სპეცრაზმი შევარდა ტელეკომპანია **„იმედშიც“**, ხოლო მისი მფლობელი, ბადრი პატარკაციშვილი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. შემდეგ უკვე, **„ნაციონალურმა მოძრაობამ“** აიძულა კომპანიის მესაკუთრეები, საკონტროლო პაკეტი ნაციონალების სასარგებლოდ დაეთმოთ.

ანალოგიური ვითარება იყო რეგიონებში, ერთმანეთის კვალდაკვალ იხურებოდა ტელეკომპანიები და ამის ნათელი მაგალითია **„ბათუმის 25“**-ე არხი და **„თრიალეთი“**. სატელევიზო არხების დახურვის შემდეგ ხელისუფლება უკვე ინტერნეტ გამოცემებს და გაზეთებს მიადგა. სააკაშვილის ამ პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ინტერნეტგამოცემა **პრესა.გე**, რომლის დამფუძნებლებმაც მოგვიანებით ინტერნეტგამოცემა **ფორ.გე** შექმნეს.

სწორედ ასე **„იცავდა“** ყოფილი ხელისუფლება ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებას. ექსპერტების შეფასებით **„ნაციონალური მოძრაობის“** 9 წლიანი მართველობის სავიზიტო ბარათი სწორედ **„თავისუფალ სიტყვაზე“** ზეწოლა გახდა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ეკრანი თვითონ ლაპარაკობს ცდილობს თუ არა ხელისუფლება მასზე გავლენის მოპოვებას. მისივე შეფასებით, თუ სხვა ტელევიზიებზე არ აქვს ხელისუფლებას გავლენის მოპოვების მცდელობა, გაუგებარია რატომ უნდა ცდილობდეს **„რუსთავი 2“**-ზე გავლენის მოპოვებას.

როგორც საყვარელიძე აცხადებს, ოპოზიციური პარტიების და ზოგიერთი გამონათქვამები უკვე აღარ არის სანდო ფართო საზოგადოებისათვის.

**„მარტო თქმა ხომ არ არის მთავარი – შენს ნათქვამს ადამიანი უნდა ენდობოდეს. ძალიან ბევრმა აუწყო ხმა იმას, რომ ხდება პოლიტიკური ზეწოლა, მაგრამ მეორე მხრივ, მოქალაქეები მხოლოდ მათი ინტერვიუდან არ იღებენ ინფორმაციას.**

**სატელევიზიო არხები იმას ამბობენ, რაც თვითონ უნდათ და ეს ხომ ადასტურებს, რომ ხელისუფლებას ტელევიზიებზე გავლენა არ აქვს.**

**რაც შეეხება წარსულს, წინა ხელისუფლებამ მედიის ნაწილი დააშინა, ნაწილი გადაიფორმა, დარჩა მცირე ნაწილი, რომელსაც ვერაფერი ვერ მოუხერხა, ოღონდ მათი მცირე რაოდენობა საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ნაკლებად ახდენდა; იმიტომ დატოვა ისინი, რომ ეთქვა – აი, ჩვენ დემოკრატები ვართო – ეს იყო მათი პოლიტიკა.**

**გავიხსენოთ, როდის გადადგა სააკაშვილი თავისი ნებით? – როდესაც შევარდნენ „იმედში“. მაშინ აღიარა, რომ დაარღვია მედიის თავისუფლება. ღიმილისმომგვრელია ამ პარტიის წარმომადგენლების მხრიდან საუბარი იმაზე, რომ იზღუდება მედიის თავისუფლება“**, – აცხადებს ინტერნეტსაიტი **ფორ.გე**-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი, გია ხუხაშვილი ამბობს, რომ როდესაც თვალწინ გვაქვს ტელევიზიებში სპეცრაზმით შეჭრის ფაქტები, დახურული და დარბეული ტელევიზიები, ძალიან ცინიკურად გამოიყურება ნაციონალების განცხადება, რომ თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა ხდება.

**„ის პოლიტიკური ძალა და ადამიანები, რომლებიც ამ მახინჯ სისტემას, ანუ მედიის კონტროლის მეთოდს ნერგავდნენ, დღეს გველაპარაკებიან სიტყვის თავისუფლებაზე, როგორც ფასეულობაზე – ეს ძალიან ცინიკური და მძიმედ მოსასმენია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც გვახსოვს ნაცემი და დაწიოკებული ჟურნალისტები.**

**ჩვენ კარგად ვიცით, რას აკეთებდნენ ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში. ძნელად წარმომიდგენია, რომ დღეს ჩვენს ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ამ იდიოტიზმში შეიძლება მონაწილეობდნენ“,** – აღნიშნა **ფორ.გე**-სთან საუბრისას გია ხუხაშვილმა.

რეჟისორი, გოგა ხაინდარავა აცხადებს, რომ ყოფილი ხელისუფლების მხრიდან თავისუფალ სიტყვაზე საუბარი, მკრეხელობაა.

**„საქართველოში ამნეზია არავის არ აქვს და არ მგონია, ვინმეს სჭირდებოდეს იმის გახსენება, როგორ არბევდნენ ტელევიზიებს. ნიკა გვარამია არის ცილისმწამებელი, რომლის ადგილი სხვაგან არის და არა იქ, სადაც არის.**

**„რუსთავი 2“-ს წლების განმავლობაში საროსკიპოდ ვთვლიდი. საროსკიპო არის ის ადგილი, სადაც ადამიანების ვნებებს გარკვეული ანაზღაურების საფასურად აკმაყოფილებენ. დიახ, „რუსთავი 2“-ში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ხდება სააკაშვილის ვნებების დაკმაყოფილება. ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ საროსკიპოს იცავს, იცავს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მეძავებს.**

**ამას ჟურნალისტიკას ვერ დავარქმევ, ეს ხალხი სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ ვნებებს აკმაყოფილებენ გარკვეულ საფასურად. მკრეხელობაა მათი მხრიდან თავისუფალ სიტყვაზე საუბარი. ძალიან მარტივია, რომ ეს ტელევიზია ეკუთვნის სააკაშვილს და ისე მოიხმარს, როგორც უნდა. სააკაშვილის მოხმარებული დაწესებულება წამლავს მთელ ქართულ საზოგადოებას“,** – აცხადებს **ფორ.გე**-სთან საუბრისას გოგა ხაინდრავა.

თამთა ქარჩავა

## პოეზიის კუთხე

### ერჩქინაშ ბორჯის ვაბკითხენა: მუშენ მორთია?!

ერჩქინაშ ბორჯის ვაბკითხენა: მუშენ მორთია?!
მიხაზირენა ალიართენც ცათე ორინჯე,
ხვალე ართი რე ჩქინ დუდიში მინჯე-მორდია,
კოჩ ქორექგ-და, სქან კორინეფც ოკო ორჯგინე.
გეშვაშვალანა წყარიცალო არძა ნარტეფი
დო ნოფაცალო გეთართალანს ჩქიმი სქილედი,
ცათე გორჩქინა მუმალიშა ვარე მარტები,
უჩურცხალი რე, ირიათონც მიკნასქილედი.
ცოდა იზირუ, მუჭოთ შვანი, მაღორებელი,
გოღანერ დღაშა მუშოთ გოკო თიში ცუნაფა,
გინმოჯინენა კონდიდიშე ღურუ გებენი
დო ჩხანაიას ქიგნაფორუ უჩა მუნაფა.

* * *

ვაპალუნა ჭკუა, გაღა.
მალ წყარეფი ურჩხუნა.
მარგალურიშ გოჯოგაფა,
ქორთულ საქვარ უჩქუნა.

* * *

გურიშ წვადილც ცოდა მოგენს,
თე ნარტეფი ტყურათ ფხვილი,
ვორექ, მუჭოთ გასაჯოგე,
დორაგვაფილ-დონთხაფილი.

გორთილი რე შარა-კვალი,
ფირქი მეურც ცალით-ცალო,
ეშმაკ მიძახ, მაზაკვალი,
სადღემუშოთ მაჭყვიდალო.

კირიბცალო წირფე რინა,
ღორონს ფთხუე- მომინძალას,
ჩქიმ ღურელშა მიკორინა,
ბოშკოჩურო შურიშ ღალა.

მაცვილარი ბორჯ იჯინე,
ჭარკანტია ირქენც ჟინე,
თაქ დოფსქიდი მა ჩიჩიე,
ცაშა ტკვათგ ვეშელინე.

ქიგნუდვალგ ირფელც ცინი,
ღვინი მეწენც შურიშ მარანს,
თუდო, დოლოს გინვოჯინი,
გეშვაშვალანც წყარი ნარას.

არძა ჭუას ნარღი მებუ,
მორო ლექინ ორე ჯვარი,
ირფელ ართო მიკომლებუ,
გურც გოთანა ქუვახარი.

ირ შვანიში გგნაჭყორი,
ტახილი რე ჭარაშ ხინჯი,
თაქ გევორექ სქანი ჭკორი,
ქომირსხი დო ქომიმინჯი.

გიორგი ხულორდა
2014 წანა. 2 მელახი,
ოფუტე, სალხინო

### სამარგალო ოგვაჯე რე, უქოთომე,

სამარგალო ოგვაჯე რე, უქოთომე,
სპილო ორე ურჩქვალე დო უხორთომე
სამარგალო ორქო ორე ღორონთუმე
გაგთო ვალგნც, გაგთოფალ ნს ამდღა ჭუმე.
სამარგალოს დუდშა პატი ვეგეიდვალუ,
ათეშენი ვაგიწიცინ დო ვაგიფალუ,
შხვაშო გიხაჩქ, შხვაში ლაიტი გიკაკალუ,
შხვაში ოგვაჯეს კვერცი ვისქუ, დო გიკარკალუ,
შხვაში გორდ ყილოჯგუა ქომოლსკუა
სქანი ტანით გილაიღალუ შხვაში ჭუა
სქუას მორდუ, უკული კვარჩხში ორთინუა,
მარგალობას უჯოგუა, ორინუა
მითინც ვაუ რქ ქანას კოჩი ქიგერენდა.
სი კობურექ ანწი მიშოთ იიქგმინდა
ლანდღვირი წყარი რექ. ანწი მუჟამ იიქ წკონდა
ზღვას ქაკათი მარგალობა ქუგოკონდა.
სქანი დიხემც შხვეფი რდუნა გვარიტომც,
სქანი წყარემც შხვეფი ჭოფუნა კალმახ-ჩხომც
სი ვახვიე, სი ქოგგქ ყვარილი კოც,
გაგშაკურცხი ქადუმახი ჭკუას – გონც.

ჯემალ პერტაია (ტომბა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ შეცვალა ილია მეორემ: 70-იანი წლების საქართველოს პატრიარქის ცხოვრების გზა





ხარაგაულის რაიონის სოფელ მირონწმინდაში 1903 წლის 6 აპრილს ხარიტონ ჯიბოს ძე დევდარიანი დაიბადა. ეს ადამიანი 1977 წლის 9 ნოემბერს ამ ქვეყნიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის ხარისხით წავიდა. მისი წინამორბედი ეფრემ II გახლდათ, მემკვიდრე კი – ილია II.

დავით V საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1972-დან 1977 წლებამდე იყო და ურთულეს პირობებში მოუხდა მოღვაწეობა.

მისი გზა პატრიარქობამდე კი თავიდან ასე დაიყო:

ხარიტონ დევდარიანმა პირველდაწყებითი განათლება სოფელ მირონწმინდაში მიიღო. 1917 წელს სოფელ სარგვეშის არასრული სასწავლებელი დაასრულა და სწავლა ჭიათურის მღვიმის მონასტერში განაგრძო. 1918 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა მირონწმინდის ეკლესიის მედავითნედ დაადგინა. 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და სასულიერო პირები კანონგარეშედ გამოცხადდნენ. ამის გამო ხშირად მათი დაწიოკება და ეკლესია-მონასტრების ნგრევა ხდებოდა. ასეთ დროს მედავითნე დავითი საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიდა. მიუხედავად მძიმე ვითარებისა, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სასულიერო პირი გამხდარიყო და თხოვნით მიმართა მარგველ ეპისკოპოს ვარლაამს (მახარაძე) დიაკვნად ეკურთხებინა და ნებისმიერ ეკლესიაში განეწესებინა. 1927 წელს ეპისკოპოსმა ის საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში დიაკვნად აკურთხა, ხოლო მეორე დღეს მისი ხელდასხმა მღვდლად მოხდა და სარგვეშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა. ერთ წელიწადში, როგორც გამორჩეული სასულიერო პირი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს ლოცვა-კურთხევით, ხარაგაულის ოლქის მთავარუხუცესად დადგინდა. მერე მცხეთა-თბილისის ეპარქიაში გადაიყვანეს, ჯერ სიონის, ხოლო 1932 წლიდან ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მსახურად.

1940-იან წლებში კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელმსახურიც გახლდათ, ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის მოადგილე და წინამძღვარიც.

1956 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-ემ ბერად აღკვეცა და დავითი უწოდა, არქიმანდრიტის წოდებაც მიენიჭა, 28 აგვისტოს კი ეპისკოპოსად აკურთხეს (განაგებდა მარგვეთისა და ურბნისის ეპარქიებს). 1959-1972 წლებში იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. 1959 წელს მელქისედეკ III-ის ბრძანებით, მარგველი ეპისკოპოსი სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა.

1960 წლის 11 იანვარს უწმინდეს მელქისედეკ III-ის გარდაცვალების მეორე დღეს, სინოდის სხდომაზე, ურბნელმა ეპისკოპოსმა დავითმა სპეციალური წერილობითი განცხადებით, უარი თქვა მოსაყდრეობაზე მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ. 1962 წლის 18 თებერვალს უწმიდეს და უნეტარეს ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით აყვანილ იქნა მიტროპოლიტის პატივში.

1972 წლის 7 აპრილს, დილის 6 საათზე და 30 წუთზე გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. იმავე დღის 13 საათსა და 45 წუთზე საპატრიარქოში შეიკრიბნენ – მიტროპოლიტი დავითი, ეპისკოპოსები: ზინობი, გაიოზი, დეკანოზები, საერო პირები და გახსნეს პატრიარქის სეიფი, სადაც 1972 წლის 17 მარტს შედგენილი წერილობითი ანდერძი ინახებოდა, რომელსაც კათოლიკოს პატრიარქ ეფრემ II-ის ხელმოწერა ჰქონდა, სადაც ეწერა:

**"ჩემი გარდაცვალების შემდეგ, ჩემს მოსაყდრედ დატოვებული მყავს (1 წლის ვადით) ურბნელი მიტროპოლიტი დავითი".**

1972 წლის 1 ივლისს საქართველოს XI საეკლესიო კრებამ, რომელსაც 58 დელეგატი ესწრებოდა იგი კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. ინტრონიზაცია 2 ივლისს სვეტიცხოვლის ტაძარში შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ: ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი, ეპისკოპოსი გაიოზი, მოსკოვისა და კრასნოდარის მთავარეპისკოპოსი ალექსი (შემდგომში რუსეთის პატრიარქი), ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათალიკოზი ვაზგენ პირველი.

1977 წლის 9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V (დევდარიანი). იმავე საღამოს 19 საათზე შედგა წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) აირჩია.

უწმიდესი და უნეტარესი დავით V სიონის საპატრიარქო ტაძარში დაკრძალეს. განსვენებულ პატრიარქს წესი აუგო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ილიამ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრების: მიტროპოლიტ ზინობის, ეპისკოპოს გიორგის, ეპისკოპოს გრიგოლის თანამწირველობით.

ყოფილი სახალხო დამცველი და პარლამენტარი ნანა დევდარიანი დავით V დევდარიანის შვილიშვილია. ის იშვიათად საუბრობს თავის ბაბუაზე. ერთ-ერთ ინტერვიუში კი აი, რას პასუხობს:

**"ვთვლი, რომ ჩემი დამსახურება არ არის იმ ოჯახში დაბადება, სადაც დავიბადე, რომ ბაბუაჩემი იყო უმაღლესი იერარქიული პირი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა. ბაბუა იყო სრულიად საქართველოს და არაერთი კონკრეტული ოჯახის პატრიარქი. ბავშვობიდან ჩამაგონეს, ისე მეცხოვრა, რომ ბაბუის სახელი არ შემერცხვინა. სადაც ვიყავი, პოლიტიკაში თუ სხვაგან, მუდამ ვცდილობდი, რომ სწორედ ასე მეცხოვრა. ჩემს შვილებსაც იგივეს ვეუბნებოდი და უნდა გითხრათ, რომ ჩემი მრავალწლიანი პოლიტიკური საქმიანობის პერიოდში, მათი საქციელის გამო, უმცირესი უხერხულობაც კი არ შემქმნია, არა თუ, რაიმე პრობლემა".**

მოამზადა ლალი ფაციამ

# გადავარჩინოთ საქართველო!

*„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს*
*თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა...*
*დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით*
*და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წაწყმედისაც... "*
**ილია**

წინამდებარე წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული ეს სიტყვები ბრძენკაცისა, – სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენ დავივიწყეთ ჩვენი ისტორია და ამ მიზეზით გამოწვეულ მძიმე შედეგებს ვებრძვით, უკვე, სამი ათასი წელია, მაგრამ უაზროდ და უშედეგოდ, რადგან მიზეზ-შედეგობრიობის შეუვალი კანონის თანახმად მხოლოდ შედეგებთან ბრძოლა ვერ იძლევა სასურველ და საბოლოო შედეგს. ქართველმა ერმა ვერა და ვერ გაიცნობიერა სავალალო შედეგების გამომწვევი მიზეზი და მისი აღმოფხვრის აუცილებლობა. ამიტომ შედეგებთან უაზრო და უშედეგო ბრძოლას ეწირება ისედაც დეფიციტური ეროვნული ენერგიის დიდი ნაწილი და ძვირად ღირებული დრო.

ქართველი ერის ისტორია არ ყოფილა მხოლოდ თვითგადარჩენისათვის ბრძოლა. იყო დრო, როცა **„იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე"** (ვილჰელმ ჰუმბოლდტი) და **„ჰქონდა აყვავებული კულტურა"** (ნიკო მარრი). და ეს წარმატება მიღწეულ იქნა უზენაესი შემოქმედის (ათეისტური გაგებით, ბუნების) შეცნობით, სიახლოვითა და მასთან ჰარმონიული თანაცხოვრებით. ამიტომაც ერქვათ მათ იბერი (<თიბერი<თ**გბგრ** //[უზენაეს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერი). მაგრამ უზენაესთან კავშირის გაწყვეტამ, მისგან უფრო და უფრო დაშორებამ და, საბოლოოდ, დავიწყებამ გამოიწვია, დღეისათვის ქართველად წოდებული ერის სულიერ-ზნეობრივი დონის სრული კატასტროფა – ველური ცხოველის დონემდე დეგრადირება და ვართ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ბედნიერი ერი"**, ნადირადქცეული არსებები, რომლებსაც ცხოველური მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა, არაფერი აინტერესებს. ამიტომაც, როგორც ერის, ქართველი ერის არსებობა ყოფნა-არყოფნის ზღვრამდეა დასული.

ჩვენს, დღევანდელი ცხოვრების სინამდვილეში გამეფებულ უკუღმართობას და უზნეობას, ხშირად, ვაბრალებთ არსებულ ხელისუფლებას და არცთუ ისე უსაფუძვლოდ, მაგრამ განა შეიძლება თანამედროვე დონის საზოგადოების წიაღიდან იშვას უკეთესი ხელისუფლება? რა თქმა უნდა, არა. სწორედ ამიტომაა ნათქვამი: **„როგორიც ერი, ისეთი ბერიო"**. მაგრამ, როგორც მსგავს ვითარებაში ადრეც ხდებოდა, გამოჩნდნენ მამულიშვილები, რომლებმაც შეიგრძნეს ქართველი ერის გადაშენების საშიშროება და გვთავაზობენ თავიანთი შეხედულებების გაანალიზებას და მოქმედებას, მაგრამ ველურთა გარემოცვაში არა ჩანან თანამოაზრენი და თანამოქმედნი, რომლებიც აიტაცებენ მათს, უდაოდ, საშურ იდეებს და სიტყვას საქმედ აქცევენ.

უნიკალური ისტორიული რომანის **„ჯვარი პატიოსანის"** ავტორი, ბატონი ვასო კუკუნაშვილი ეძებს თანამოაზრეებს, რომლებსაც შეუძლიათ მავანთა უნიათობით დასაღუპად გაწირული სამშობლოს გადასარჩენად თავგანწირვა და მუშაობს ისეთი მექანიზმის შემუშავებაზე, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილებისათვის ჯგუფის უკან დასახევ გზას ჩახერგავს. თუმცა, ასეთი მექანიზმი – **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიასა და ეროვნულ იდეასთან"** ერთად, – უკვე, რამდენიმე წელია ცნობილმა პოლიტოლოგმა ბ-ნმა ალექსანდრე ჭაჭიამ შემოგვთავაზა. მაგრამ ეს დიდად საშური მექანიზმი არავის აუტაცნია. არადა, ასეთი მექანიზმის კანონად მიღებისა და ამოქმედების გარეშე, გამორიცხულია ქართველი ერის გადარჩენა.

ნებისმიერი ხელისუფლების ყოველგვარი დაპირება საზოგადოებისადმი, დღევანდელ საქართველოში, სიცრუე და ხელისუფლებაში მხოლოდ ფულის საშოვნელად მოსასვლელი ფანდი იქნება, სანამ მიღებული არ იქნება კანონი თავდადებულ მამულიშვილთა უკან დასახევი გზის ჩამხერგავ მექანიზმზე. ასეთ მექანიზმზე კანონის მიღების გარეშე, დღევანდელი საზოგადოების გარემოცვაში გამორიცხულია არ ცდუნდეს ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი პირი, რამდენადაც გულანთებული და სამშობლოს პატრიოტი არ იყოს იგი.

რა მექანიზმია ეს მექანიზმი?

თუ გვინდა იარსებოს ჩვენმა მომავალმა, ჩვენმა შვილებმა, ქართველმა ერმა, უნდა დავუმტკიცოთ ხელისუფლებას, რომ ეს ქვეყანა მარტო მათი კუთვნილება არ არის.

საქართველოს ყველა მოქალაქემ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს ნებისმიერ არჩევნებს, თუ მიღებული არ ქნება კანონი 2016 წლის არჩევნებამდე, რომელშიც დაფიქსირებული იქნება, რომ 2020 წლის და შემდგომი არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებში შეტანილ იქნეს ფრაზა: 2016 წელს და შემდგომ არჩევნებში არჩეული, ხელისუფლებაში მყოფი პირების მუშაობის ხარისხის შეფასება. მაგალითად, 2020 წლის ვაკის რაიონის საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ იქნეს: დეპუტატ შალვა შავგულიძის მუშაობის შეფასება (არადამაკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, კარგი, ფრიადი), სადაც ამომრჩეველი ხაზს გაუსვამს თავის აზრს.

როგორც ბ-ნი ალექსანდრე გვთავაზობს, თუ დეპუტატობისა და ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში პიროვნების მუშაობა ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ შეფასდება დამაკმაყოფილებლად, მას შეუნარჩუნდეს ხელისუფლებაში ყოფნის დროს დანიშნული ხელფასი სიკვდილამდე. თუ ხელისუფლებაში მყოფი პირის მუშაობა შეფასდება **„კარგად"** და **„ფრიადზე"**, მისი სურვილის შემთხვევაში, არჩეულ იქნას შემდგომი ვადითაც. ხოლო ის პირი, რომლის მუშაობა ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ შეფასდება **„არადამაკმაყოფილებლად"**, უნდა ჩაჯდეს ციხეში იმ ვადით, რა ვადითაც ის ხელისუფლებაში იმყოფებოდა და მოხდეს მისი ქონების კონფისკაცია.

ასეთი კანონის მიღების შემთხვევაში ხელისუფლებაში ვერ მოვლენ შემთხვევითი და გამდიდრების სურვილით აღტყინებული ადამიანები, არამედ მოვლენ ნამდვილი, სამშობლოს პატრიოტი, თავდადებული მამულიშვილები და გადარჩება საქართველო. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორიის შესწავლა და ზოგად საგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში მისი სწავლება. მხოლოდ მაშინ შეიძლება ბ-ნ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შემუშავებული **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიისა და ეროვნული იდეის"** რეალიზება და ამუშავდება გია ჩუთლაშვილის მიერ შემოთავაზებული **„მომავლის სკოლები"**, სადაც თაობები აღიზრდებიან ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით.

თუ ხელისუფლება ვერ მიიღებს ზემოაღნიშნულ კანონს, ნიშნავს, რომ მას არ აინტერესებს ქართველი ერის გადარჩენა და ბედნიერი მომავალი, ანუ ის უცხო დამპყრობლების მარიონეტი და აგენტურაა. ამიტომ მათ მიმართ მიღებულ უნდა იქნას რადიკალური ზომები.

რაც შეეხება მამულიშვილებს, რომელთა უკან დასახევი გზა ჩახერგილი იქნება ზემოთ აღნიშნული კანონით, უდიდესი ბედნიერება ხვდებათ წილად, რამეთუ სამშობლოსათვის თავგანწირვა და სიკვდილი დიდი ღირსება და ღვთიური ჯილდოა ადამიანისათვის.

პირადად მე, უკვე 80 წელს მიღწეული კაცი ვარ და არ ვიცი რას შევძლებ, მაგრამ ახალგაზრდა რომ ვიყო, უსაზღვროდ ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მოვხვდებოდი უკან დასახევ გზაჩახერგილებს შორის. თუმცა, ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმს დღესაც ვაკეთებ ისე, რომ ამისთვის არასოდეს არაფერი მითხოვია და არც არასოდეს შევაწუხებ სხვას.

და ბოლოს, უმორჩილესად ვთხოვ ბ-ნ ალექსანდრე ჭაჭიას, რომ მშრალ ლოზუნგად არ დარჩეს მისი ბრძნული აზრები, თვითონ ჩაუდგეს რჩეულ მამულიშვილთა უკან დასახევი გზის ჩამხერგავი მექანიზმის კანონად მიღების ორგანიზებას და მის მიერვე შემოთავაზებული **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიისა და ეროვნული იდეის"** ცხოვრებაში რეალიზებას.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა" და „აიას" საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

# "მკვლელი აუცილებლად "ზვიადისტი" უნდა ყოფილიყო... მე მაძლევდნენ 1 მილიონ დოლარს"

*"ქალაქ ზუგდიდში პრეზიდენტის განადგურების საკითხს უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი ბასიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მას ჩემი თანამებრძოლების დახმარებით რამდენჯერმე შევხვდი, ბასიკაშვილის თქმით, მკვლელი აუცილებლად "ზვიადისტი" უნდა ყოფილიყო. ამასთან, მოკვლისთანავე, კვალის დასაფარავად პრეზიდენტის ცხედარი კახეთის რეგიონში უნდა წაეღოთ. მე მაძლევდნენ 1 მილიონ დოლარს, რომელიც, როგორც მეუბნებოდნენ, ზვიად გამსახურდიას თან ჰქონდა და მპირდებოდნენ საზღვარგარეთ გაყვანას. ჩემს კითხვაზე, ვისგან მოდიოდა ეს ბრძანება, მხოლოდ ერთს მპასუხობდნენ,– ქვეყნის პირველი პირისგანო".*

ზუგდიდის ყოფილი კომენდანტის **ბადრი ზარანდიას** დღიურებიდან.

*"ბატონებო, მოგმართავთ თხოვნით... გაკეთდეს ყველაფერი, რათა დასრულდეს ობიექტური გამოძიება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეზე".*

**კონსტანტინე, ცოტნე და გიორგი გამსახურდიების** მიმართვიდან, 2014 წლის 31 მარტი.

**"31 დეკემბერს, ღამით, დაახლოებით 2 საათზე გავიგონე გასროლის ხმა (მე და ჩემს მეუღლეს პირველ სართულზე გვეძინა). ვიფიქრე, "შკაფი""ხომ არ დაეცა-მეთქი. უცებ ზემოდან შემომესმა ყვირილი, – კარლო ბიძია, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მაშინვე მაღლა ავვარდი. დავინახე, რომ სამივე (ბესო გუგუშვილი, ბაჩუკი გვანცელაძე და რობინზონ მარგველანი. – ავტ.) კედელს თავს ურტყამდნენ. ოთახში მხოლოდ ერთი ლამპა და სანთელი ენთო. ბიჭებმა მთხოვეს, გააპატიოსნეო, მაგრამ ცუდად გავხდი, მერე, როგორც იქნა, მივედი მიცვალებულთან და გავაპატიოსნე. ტყვიის მასრა მაშინვე იპოვეს, თუმცა რომელმა აიღო, არ მახსოვს. ტყვიის გულას მოძებნა ვერ შეძლეს. პრეზიდენტის ხელში იარაღი არ შემინიშნავს",** – ასე იხსენებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელი მასპინძელი, ხიბულელი კარლო ღურწკაია 1993 წლის 31 დეკემბრის ღამის ერთ უცნაურ გასროლას, რომელსაც დევნილი პრეზიდენტის გარდაცვალება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველა ხელისუფლებას გამსახურდიას მკვლელობის თუ თვითმკვლელობის დადგენა ქართველი ერის ღირსების საკითხად მიაჩნდა, 21 წლის შემდეგაც ხიბულის საიდუმლო კვლავ ამოუცნობი რჩება. 31 მარტს გამსახურდიებმა კვლავ მიმართეს ხელისუფლებას თხოვნით, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე.

სანამ პროკურატურა გადაწყვეტილებას მიიღებს, გვინდა, მკითხველს კიდევ ერთხელ მოვუყვეთ იმ გზის შესახებ, რომელიც დევნილმა პრეზიდენტმა 1993 წლის სექტემბრიდან ხიბულის ტრაგედიამდე განვლო. აი, რას იხსენებს ზვიად გამსახურდიას საგანგებო წარმომადგენელი საქართველოში, **ოთარ უბილავა:**

– "1993 წლის აგვისტოში ზვიად გამსახურდიამ ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა – აფხაზეთში, ქართულ ფრონტებზე, სიტუაცია უფრო დამძიმდა და ასეთ დროს სამშობლოში ყოფნა არჩია. ამ გადაწყვეტილებაზე ზუგდიდში მყოფი მისი მხარდამჭერების დაპირებებმაც იმოქმედა, – საკმარისი ძალა გვყავს (დაახლოებით 20.000 კაცი) და შენი დაცვა არ გაგვიჭირდებაო. მე ბედიის მიმართულებით ვიყავი ფრონტზე, როდესაც ზვიადს დელეგაცია ამ დაპირებებით ეახლა. ძალიან გამიკვირდა, რომ გავიგე, ისინი გროზნოში შვეულმფრენით გაფრინდნენო. თან მითხრეს, – შვეულმფრენი პრემიერ-მინისტრის თხოვნით შევარდნაძეს ფრონტიდან მოუხსნია(?!) და მიუციაო. პრემიერ-მინისტრმა იცოდა, რომ დელეგაცია გროზნოში ზვიადის დასაყოლიებლად მიდიოდა. სავარაუდოდ, ეს შევარდნაძესაც უნდა სცოდნოდა. მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო სივრცე მაშინ დაუცველი იყო, შვეულმფრენი მშვიდობიანად გაფრინდა და გამოფრინდა...

სექტემბრის შუა რიცხვებში ზუგდიდში უზენაესი საბჭოს სესია გაიმართა. სესიაზე სამხედროებიც იყვნენ. ორიოდე დეპუტატიღა შეეწინააღმდეგა ზვიადის საქართველოში ჩამოსვლას. იარაღშემართული სამხედროები სცენაზე აცვივდნენ და აყვირდნენ, – თქვენ ვინ გეკითხებათ, პრეზიდენტს ჩვენ დავიცავთო.

"ტუ-34", რომლითაც პრეზიდენტი 23 სექტემბერს, თანმხლებ პირებთან ერთად, სენაკში ჩამოვიდა, ლატვიიდან გამოგზავნეს. მაშინ, როცა რუსული მხარე ქართულ სივრცეში ჩიტს არ აჭაჭანებდა, პრეზიდენტის თვითმფრინავმა მშვიდობიანად გადმოლახა ჯერ რუსეთის, მერე საქართველოს საზღვარი და სენაკშიც მშვიდობიანად დაეშვა (თუმცა მანამდე პილოტის შეცდომით კინაღამ კოპიტნარში დასხდნენ). იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რუსულმა მხარემ ისინი შეგნებულად გამოატარა.

24 სექტემბერს ზვიად გამსახურდიამ დაათვალიერა ოჩამჩირის ფრონტი, კოდორის ხიდამდე მივიდა, ოჩამჩირეში გამართულ თათბირზე გაგვიცხადა, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა, ყველა ერთად უნდა ვმდგარიყავით აფხაზეთის შესანარჩუნებლად (მაშინ ოჩამჩირისა და ბედიის მიმართულებით პრეზიდენტის მხარდამჭერი ეროვნული გვარდიის 1.000 ჯარისკაცი იბრძოდა). მისმა მოწოდებამ ბევრი გაალიზიანა.

ჩამოსვლის დღესვე პრეზიდენტმა ზუგდიდში მიტინგი ჩაატარა. 50.000 კაცი მოვიდა. მაშინ ამაყად უთხრეს, – ნახეთ, რამდენი კაცი დგას თქვენ გვერდითო. ამის მერე ზვიადის დაცვაზე არავის უზრუნია, პრეზიდენტი ფაქტობრივად დაუცველი იყო, ექვსიოდე მცველი ახლდა, რომლებიც მის კაბინეტში იმყოფებოდნენ. მიუხედავად ჩემი არაერთგზის თხოვნისა თუ მოთხოვნისა, პრეზიდენტის დაცვის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა.

ოქტომბერში რუსეთის გემები ფოთს მოადგნენ. გენერალ ბალტინის დესანტი უკვე სენაკს უახლოვდებოდა და იძულებულები გავხდით, სენაკიდან ჩვენი შტაბი უკან, ზუგდიდისკენ გადმოგვეწვია.

გვიან ღამით სენაკიდან მომავალ პრეზიდენტს შუა გზაში ცეცხლი გაუხსნეს. დაცვის წევრები მანქანის ქვეშ შეძვრნენ და ზვიადსაც ასე ურჩიეს... პრეზიდენტმა იუკადრისა ასე მოქცევა... სწორედ იმ ღამეს ზუგდიდში დაბრუნებულმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სახელმწიფო დაცვის სამსახურის შექმნის ბრძანებას. თუმცა გვიანი იყო – რუსები და სამთავრობო ჯარების ნაწილები ყოველი მხრიდან გვიტევდნენ; ამიტომ პოზიციიდან ხალხი დროულად ვერ მოვხსენით.

ამასობაში **"მხედრიონი"** ზუგდიდს მოადგა. ზვიადი სოფელ რუხში იყო.

26 ოქტომბერს ჩავედი რუხში. გავიგე, რომ აფხაზები ჩამოსულიყვნენ ჩვენებთან მოსალაპარაკებლად, რათა ზვიადი აფხაზეთში გადაეყვანათ.

მაშინ ვფიქრობდი, რომ რუსებს საქართველოს დევნილი პრეზიდენტის დაცვა არაფრად სჭირდებოდათ, ზვიადის აფხაზეთში გადასვლას სულ სხვა მიზანი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებდა. აფხაზეთში გადასვლაზე არც ზვიადს უთქვამს რამე ჩემთვის.

რუსების თამაშის შესახებ ეჭვს ისიც მიძლიერებდა, რომ ზვიადის საქართველოში ჩამოსვლისთანავე მოსკოვიდან ყოფილი გენერალური პროკურორი კოტე ფირცხალავაც დაბრუნდა (არადა, ქვეყანა თავზე გვენგრეოდა, მიწა-წყალს გვართმევდნენ, ის კი არ გამოჩენილა, მოსკოვში იჯდა მშვიდად). ფირცხალავა ზვიადს გვერდიდან არ შორდებოდა...

(საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ მოსკოვში დაბრუნებული ფირცხალავა ცოტა ხნით დაიჭირეს, რამდენიმე თვის მერე მოსკოვის ოლქის საბაჟოს უფროსად დანიშნეს – 5 წლის წინ ის რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრიც გახდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინსაც ატარებს).

ნოემბრის დასაწყისში გავიგე, რომ პრეზიდენტი 27 ოქტომბერს ოჩამჩირეში, სოფელ ილორში გადასულა. 5 ნოემბერს დეპუტატ გია მამფორიასთან ერთად ილორში ჩავედი და ტუჟბების ოჯახში ზვიადს შევხვდი. ნახევარი საათი ვისაუბრეთ. პრეზიდენტი ნაღვლიანი ჩანდა, მისი თანმხლებნი კი ხალისიანად იყვნენ. გურამ აბსანძე გამუდმებით ოხუნჯობდა.

ზვიადს ჩვენი მდგომარეობა ავუხსენი – ბალტინი ფოთს, წყალტუბოს, ხონს მოადგამეთქი. მითხრა, იქნებ მათი ერთი ტანკი ან ჯავშანტექნიკა როგორმე ავაფეთქოთ და მერე მსოფლიოს ვანახოთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ რუსები იბრძვიანო.

გალში, ერთ ადგილას ყუმბარმტყორცნი მეგულებოდა. კაცი გავგზავნე წამოსაღებად. მე კი იმ საღამოსვე დავბრუნდი ზუგდიდში. გზაში ჩემმა გამცილებელმა ადგილობრივმა მკვიდრმა გამაფრთხილა, – გზაში დაყრილ მიცვალებულებს არ შეხედო, უთვალთვალებენ, თუ ვინმეს დააკვირდები, მისიანი ეგონები და აქვე მოგკლავენო.

ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავტომატიანი ხალხი და ტექნიკა იდგა, ჩეჩნები და ათასი ჯურის ხალხი ირეოდა.

ვფიქრობდი, ნეტავ, პრეზიდენტი, დელეგაციასთან ერთად, ცენტრალურ ტრასაზე ვინ გამოატარა-მეთქი. ცხადია, ეს რუსების ჩაურევლად არ მოხდებოდა. 6-ში მთელი დღე ველოდი ყუმბარმტყორცნს, მაგრამ არავინ გამოჩენილა...

საღამოს რუხში ვნახე, ჩვენების მანქანები ენგურის ხიდზე მიდიოდნენ აფხაზეთში გადასასვლელად. სად მიდიხართ-მეთქი, – ვიკითხე. ზვიად გამსახურდიასთანო, – მიპასუხეს და მეც გავყევი.

ილორში პრეზიდენტი აღარ დაგვხვდა. ტუჟბებმა მითხრეს, – შენ რომ წახვედი, შუაღამისას აფხაზები მოვიდნენ ზვიადთანო.

მოუტანიათ ხელშეკრულება აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე. მასზე ხელისმოწერის სანაცვლოდ პრეზიდენტს რუსები დახმარებას და თბილისში პრეზიდენტად დაბრუნებას სთავაზობდნენ.

ზვიადს ეს ფურცელი გვერდზე გაუწევია და აფხაზური დელეგაციის გასაგონად კი არა, ჩვენებისკენ მოუხედავს და უთქვამს, – **"ნეკოგდა!"**

აფხაზები გასულან და ერთ საათში მობრუნებულან. შეიძლება მავანთ დაუკავშირდნენ, – გამსახურდია უარზეაო. ისინიც, თავის მხრივ, შევარდნაძეს შეატყობინებდნენ, – გამსახურდია ილორშია. რა ვქნათ, დავაპატიმროთ და გადმოგცეთ, თუ უკან გამოვუშვათო. შევარდნაძისთვის ზვიად გამსახურდიას დაპატიმრება ხელსაყრელი არ იყო, რადგან სასამართლო რომ ჩატარებულიყო, რას უნდა მოსდევებოდნენ! სანამ პირველი პრეზიდენტი ცოცხალი იქნებოდა, საფიქრალს არ გამოულევდა შევარდნაძეს და მისიანებს; ამიტომ, ჩემი აზრით, შევარდნაძემ გამსახურდიას გაშვების გადაწყვეტილება მიიღო.

ილორში არავინ იცოდა, სად წავიდა პრეზიდენტი. ზოგმა გვითხრა, ჩრდილოეთითო. ჩვენც გზას გავყევით და სოჭშიც ისე გადავედით, რომ დარწმუნებული ვიყავით, ზვიადი იქ იქნებოდა. იქიდან მოსკოვში ჩავედი. ზუგდიდში ჩემს მეუღლესთან როცა ვახერხებდი დარეკვას, ვეკითხებოდი, – ზვიადზე რამე ხომ არ იცი-მეთქი და – არაო...

პრეზიდენტის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა..."

ილორიდან დაბრუნების შემდეგ ზვიად გამსახურდიას თანამოაზრენი შემოეცალნენ. ის რამდენიმე თანმხლებთან ერთად 1992 წლის 20 ნოემბრამდე წალენჯიხაში, ჩქვალერის ტყეს აფარებდა თავს. მალე სპეცსამსახურებთან ერთად დევნილი პრეზიდენტის მოშორებაში მისი გარემოცვაც ჩაერთო.

17 ნოემბერს სოფელ ოჩვინარაში გენერალი გია გულუა პრეზიდენტის ყოფილ მხარდამჭერებს შეხვდა. შეხვედრას გამსახურდიას ორი დაცვის წევრი – ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძეც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იყო იმ დროისთვის ზვიადის მასპინძელი თენგო ქარდავაც.

გეგმის მიხედვით, ქარდავას ოჯახს თავს უნდა დასხმოდნენ. ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრებმა ოპერაციაში მონაწილეობაზე უარი თქვეს და შეხვედრა დატოვეს, თუმცა, გეგმა რომ არ გაეცათ, ისინი გზაში ჩაცხრილეს...

თენგო ქარდავამ ბოლო მომენტში ზვიადი ვერ გაიმეტა და თავდასხმის შესახებ დროულად გააფრთხილა.

დევნილმა პრეზიდენტმა ადგილი კიდევ რამდენჯერმე გამოიცვალა და 1992 წლის 22 დეკემბერს ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახს ესტუმრა. 27 დეკემბერს მას **"ურჩიეს"**, აქ ყოფნა შენთვის სარისკოაო. **"უსაფრთხოების"** მიზნით სხვაგან უნდა გადაგიყვანოთ, ოღონდ მხოლოდ 4 კაცი უნდა იახლოო, ამიტომ გამსახურდიას დაცვის ორი წევრი – ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე იძულებულები გახდნენ, ჯიხაშკარში დარჩენილიყვნენ, ხოლო პრეზიდენტი პრემიერ გუგუშვილთან, ანზორ მარგველანთან და ბაჩუკი გვანცელაძესთან ერთად, სოფელ ხიბულაში ღურწკაიების ოჯახში მიიყვანეს, სადაც 31 დეკემბერს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა...

გარდაცვლილი პრეზიდენტი თანამოაზრეებმა ჯერ ჯიხაშკარში, ზარანდიების სახლში დამარხეს, მოგვიანებით (თებერვალში) გადაასვენეს გროზნოში. 2007 წელს იგი გადმოასვენეს თბილისში და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს...

**ნინო ბურჭულაძე**

# მიხეილ სააკაშვილი – ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ფურცლები

## სააკაშვილის ძეგლი უხერხულ პოზაში: პირში ჰალსტუხი, უკან კი ობამა... ცოცხით

უკრაინული მოძრაობა Одесса за порто-франко-ს აქტივისტებმა ოდესაში მიხეილ სააკაშვილის ძეგლი დადგეს ობამასთან ერთად.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მთელი მსოფლიო მოიარა ფოტომ, რომელზეც ლაჩარი დაშნაკი სააკაშვილი შიშისაგან ატანილი ღეჭავდა საკუთარ ჰალსტუხს. ნამდვილად დიდი სირცხვილია, რომ ამ დაშნაკ სომეხ არარაობას ქართველად იცნობს მსოფლიოს საზოგადოებრიობა.

სწორედ ამგვარი ასოციაციის გავლენით, ოდესის ძეგლში სააკაშვილს პირში ჰალსტუხი აქვს გარჭობილი და უკან კი ცოცხი, ხოლო საბელი ობამას უჭირავს.

აქტივისტების თქმით, ეს მონუმენტი იმას წარმოადგენს თუ როგორი ურთიერთობა აქვს სააკაშვილს ამერიკასთან და რაც შეეხება ცოცხს, ეს მის ქვეყანაში გარყვნილი რეპრესიების შემახსენებელია.



## ოდესის საზოგადოებრივი ტუალეტის უნიტაზში სააკაშვილის სურათი გამოაკრეს

ოდესის "ანტიმაიდანის" წარმომადგენლებმა, ოდესაში, ერთ-ერთ საზოგადოებრივ ტუალეტში ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის სურათი უნიტაზში გამოაკრეს, რომელსაც გაკეთებული აქვს წარწერა – "ნუ შეჩერდები, გაუმასპინძლდი".

"არ მოგვწონს, რომ ოდესას მართავს არაადეკვატური ადამიანი. უკმაყოფილო ვართ მისი პოპულიზმით. სააკაშვილის გუნდი არანაირ ქმედით ნაბიჯებს არ დგამს, ჩვენ მისი საუბრის რეზულტატს ვერ ვხედავთ" – აცხადებს "ანტიმაიდნელი" აქტივისტი დმიტრი კოლესნიჩენკო.

როგორი საზიზღარი უნდა იყო ადამიანი, ერთ წელიწადში ასე რომ შეაძულო თავი უკრაინის საზოგადოებას.

ვერა და ვერ შელევიან ამერიკელები სააკაშვილს, რომელიც ყველგან იანკების საქმეს აკეთებს ადგილობრივი მოსახლეობის საზიანოდ. ამიტომ, ფაქტია, რომ თუ სააკაშვილის საბოლოოდ თავიდან მოშირება გვწადია, ამერიკელები უნდა მოვიშოროთ თავიდან!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავირაზმოთ ყველანი!

ამასწინათ აშშ-ის სენატის მიერ მიღებულმა კანონმა, რომლის მიხედვით ამერიკის 50-ვე შტატში დაკანონდა და ნებადართულია ერთსქესიანთა ქორწინება, მსოფლიოს ყველა საღად, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანთა დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ამერიკელები კი ყოველივე ამას იმით ამართლებენ, რომ დემოკრატიას, თავისუფლებას ვიცავთო. მაგრამ მცოდნე, განათლებული ადამიანისთვის დღესავით ნათელია, რომ თავისუფლება აკრძალვების, შეზღუდვების გარეშე წარმოუდგენელია, მის გარეშე ის არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ აბსოლუტური თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობაო.

ჰიტლერი არ იყო მართალი, როცა ოცნებობდა მსოფლიო ბატონობაზე, ვინაიდან, ჩვენი აზრით, გამორიცხულია ერთმა სახელმწიფომ მსოფლიო ქვეყნებზე შესძლოს ბატონობა, მაგრამ ჰიტლერი მართალი იყო, როცა გეგმავდა დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოლას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშვებას – სრული თავისუფლების მინიჭებით. იგი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლებების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმებას და ამ გზით ერები, რომ აღმოჩენილიყვნენ ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე. იგი, ასევე თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველანაირი რელიგიური სექტა, სახელმწიფომ არ უნდა დააძალოს სწავლა, მკურნალობა, ყველანაირად უნდა წაახალისოს უდარდელი ცხოვრებისკენ, რისთვისაც ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამე უნდა სმენოდათ მხიარული მუსიკა.

გერმანელებისგან კი, პირიქით, მოითხოვდა ყოფილიყვნენ ვალდებულნი დაეცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განევითარებინათ ეროვნული კულტურა, ბეჯითად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალტექნოლოგიურ პროფესიებს. სახელმწიფო კი ვალდებული იყო ემკურნალა ყველა გერმანელისთვის, შეექმნა მათთვის ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაეშვა რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. დისციპლინა და ვალდებულებები მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს – სრული თავისუფლებაო.

მშობლიური სახელმწიფოს, დაპყრობილი ქვეყნების მართვის ჰიტლერისეული განსჯა, ჩვენი აზრით, სავსებით გამართლებული და სწორია.

სამწუხაროდ ყოფილი და მოქმედი ხელისუფლება, ასე ვთქვათ, ბრმად, თვალდახუჭული მიილტვის დასავლეთისკენ, თითქოსდა იქ ოქრო-ვერცხლს, ფოჩიან კამფეტებს უფასოდ არიგებენ. ისინი, ვითომცდა, დახმარებას რომ გვიწევენ, მიმართულია არა ჩვენი ქვეყნის და აქ მცხოვრები ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ მათი მიზან-ამოცანების, მათი სახელმწიფო ინტერესების დასაცავად და განსახორციელებლად.

ვერ გამიგია რა არის ასე თავგადასაკლავი და მოსაწონი მათი ცხოვრების წესში, ის ხომ არა – ჰომოსექსუალიზმი რომ ზეობს და ერთსქესიანთა ქორწინებაა დაკანონებული ?! ეს ხომ უზნეობაა, მახინჯი ცხოვრების წესი, რომელიც წესიერი ადამიანების მხრიდან ზიზღსა და სასტიკ კრიტიკას იმსახურებს.

საქვეყნოდ ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ როცა გამოაქვეყნა **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია"** და გააჟღერა ლოზუნგი პატრიოტული ძალებისთვის – **"ქართველობის გადასარჩენად"**, ეს სიტყვები თავის დევიზად აქცია სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** გაზეთმა **"ილორმა"**. ამის იქით კი საქმე არ წასულა. შევარდნაძემ და მისმა კარის ინტელიგენციამ, შემდგომში კი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ალ. ჭაჭიას **"ნაციონალისტი"** და **"კრემლის რუპორი"** უწოდეს, ხოლო ე.წ. ოპოზიციამ მკაცრად დაგმო მისი **"ანტიამერიკანიზმი"** და **"ანტიევროპეიზმი"**. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დღეს ეს ლოზუნგი კიდევ უფრო აქტუალურია.

ბატონი ალ. ჭაჭია ერთერთ ინტერვიუში ამბობს: შევარდნაძე და სააკაშვილი გვარწმუნებდნენ, რომ რუსეთის **"უმცროს ძმად"** ყოფნა უღირსობააო. ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა კი განაცხადა, რომ ჩვენ აშშ-ის **"უმცროსი პარტნიორები"** ვართ და ეს მისი აზრით დიდი მიღწევაა. მაგრამ უმცროს პარტნიორს უნდა ჰქონდეს საკუთარი ინტერესები, სხვა შემთხვევაში იგი პარტნიორი არაა – იგი ლაქიაა, მონა. უნდა ავუხსნათ **"უფროს პარტნიორს"**, რომ, როდესაც საქართველო იყო **"უმცროსი ძმა"**, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა, ქართველები საზღვარგარეთ სამუშაოდ არ გარბოდნენ, ქვეყანაში მუშაობდა ასობით ფაბრიკა-ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო და ჩვენ არ ვიცოდით რა იყო უმუშევრობა, ხოლო **"პედერასტი"** სალანძღავი სიტყვა იყო. როდესაც საქართველო გახდა **"უმცროსი პარტნიორი"**, შობადობა აქ კატასტროფულად შემცირდა, სიკვდილიანობა კი გაიზარდა, ქართველების მესამედი ემიგრაციაში წავიდა და უცხოელთა მომსახურე გახდა, ვინც ადგილზე დარჩა ყოველი მეორე უმუშევარია, ტერიტორიების 20 პროცენტი დაკარგულია, მიწები ინდოელებს, ჩინელებს, პაკისტანელებს და კიდევ ვიღაცას მიჰყიდეს, პედერასტები კი ინგლისურენოვანი პლაკატებით ერთსქესიანთა სიყვარულისთვის თავიანთი უფლებების დაკანონებას ითხოვენ. ასეთი **"პარტნიორობის"** 10 წელი და ქართველი ერი, უბრალოდ, აღარ იარსებებსო – სამართლიანად აღნიშნავს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია.

ყოველივე ზემოთქმულიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ქართველმა ერმა, ჩვენმა ხელისუფლებამ, უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, რომ არ აღვიგავოთ პირისაგან მიწისა.

ამ საფრთხეებზე, პედერასტების თემაზე ბევრი წერილი და სტატია აქვს გამოქვეყნებული ბატონ როლანდ ჯალაღანიას. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, მიწასთან ასწორებს პედერასტების დამცველ, როგორც უცხოელ ისე ქართველ **"ევროპელებს"**. მისი ერთერთი წერილის სათაურია – **"ჰომოსექსუალიზმი გარყვნილებაა, გარყვნილება კი დანაშაულია"**. მე კი დავამატებდი – დანაშაული კი სათანადოდ, ღირსეულად დასასჯელი. ბატონი როლანდი ამ წერილში ზიზღით მოიხსენიებს და სამართლიანად აკრიტიკებს ვიღაც ნატა ძველიშვილისა და თაზო კუპრეიშვილის ნაშრომს თემაზე **"რუსული გავლენა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე"**. ნაშრომის ავტორები წინააღმდეგი არიან და დამღუპველად მიაჩნიათ რუსეთთან ურთიერთობა-კავშირი. მაგრამ რუსეთი ერთერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც კანონით აკრძალა ყოველგვარი გარყვნილება, მათ შორის **"ჰომოსექსუალიზმი"**, გეიაღლუმები და სხვა უმსგავსობანი. ქვეყანასთან, რომელიც თავგამოდებით იცავს ეროვნულ ტრადიციებს, მართლმადიდებლობას, როგორც ბატონი როლანდი აღნიშნავს, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ითანამშრომლებს.

პირადად მე ვფიქრობ ეხლა, რომ ჩატარდეს რეფერენდუმი შეკითხვით – დასავლეთთან თუ რუსეთთან გირჩევნიათ კავშირ-ურთიერთობა – დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა ხმას რუსეთის სასარგებლოდ მისცემს. რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოვლენ, რა თქმა უნდა, ნაციონალები, მათი უბადრუკი ბელადის სააკიანცის მეთაურობით, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან და კიდევ ბევრი გარეწარი, სამშობლოს გამყიდველ-მოღალატე.

მინდა, ხაზგასმით ავღნიშნო, რომ მარტო ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას თავგამოდებული ზრუნვა და ბრძოლა საქართველოს გადასარჩენად და საკეთილდღეოდ საკმარისი არაა, როგორც იტყვიან – ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს...

მართალია, ბატონი ალექსანდრეს გარდა, კიდევ არიან უშიშარი ადამიანები, ბატონები როლანდ ჯალაღანია, კუკური ფიფია, გივი სომხიშვილი, მამანტი ძაძამია და ბევრი სხვა, ყველას ხომ ვერ ჩამოთვლი, რომელთა წერილებში და სტატიებში გამოსჭვივის სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ესაა საკმარისი.

სწორედ, ამიტომაა საჭირო და აუცილებელი დავირაზმოთ ყველანი, საქართველოში მცხოვრები საღად მოაზროვნე ადამიანები, ერთ მუშტად შევიკრათ და სამშობლოს განსაცდელი ავარიდოთ.

**მურმან სანგულია,**
**ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული**

# ალექსანდრე ჭიკაიძე: „საზოგადოებამ სამეგრელოში, ე.წ. სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოკადრები რომ ნახოს, შესაძლოა, ქუჩებში სისხლის გუბეები დადგეს“



"საქინფორმის" ინფორმაციით საქართველოს შს ყოფილ მინისტრს მიაჩნია, რომ საზოგადოებამ სამეგრელოში, ე.წ. სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოკადრები არ უნდა ნახოს. როგორც ალექსანდრე ჭიკაიძე გაზეთ **„ასავალ-დასავალთან“** ინტერვიუში აღნიშნავს, სამალავში აღმოჩენილი ფაილების გასაჯაროვება კატასტროფას გამოიწვევს.

შს ყოფილი მინისტრი გამოცემასთან 2012 წლის სექტემბერს იხსენებს, როდესაც დედამისმა ციხის სკანდალური კადრები ტელევიზიით იხილა. **„2012 წელს, როცა ციხის საშინელი კადრები გავრცელდა, ცხონებული დედაჩემი, ტელევიზიით მათი ნახვის შემდეგ, შოკში ჩავარდა და ცუდად გახდა. რაც შეეხება სამეგრელოში აღმოჩენილ ფაილებს, ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ ისინი გასაჯაროვდეს და მოსახლეობამ ნახოს, რადგან ეს უდიდეს შოკს გამოიწვევს, კატასტროფის წინაშე დავდგებით და შესაძლოა, ქუჩებში სისხლის გუბეები დადგეს.**

**დიახ, საზოგადოებამ რომ ნახოს კადრები, მამაკაცს როგორ აუპატიურებენ, ის კი ტირის, ღრიალებს და ეხვეწება – მომკალითო, წარმოიდგინეთ, რა მოხდება! მე რომ ეს კადრები ვნახე, ღამეები არ მეძინა. მადლობა ღმერთს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი რამეები ჩვენი ხელისუფლების დროს აღარ ხდება“**, – აცხადებს ალექსანდრე ჭიკაიძე გაზეთ **„ასავალ-დასავალთან“** ინტერვიუში.

**გვინდა შევეკითხოთ დღევანდელ ხელისუფლებას:** რატომ არ ასაჯაროვებენ დღემდე სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილ კადრებს? ნუთუ იმიტომ, რომ იმ ნაციონალთა დანაშაულებრივ საქმიანობას ჩქმალავენ, რომელსაც მხარს უჭერდნენ და დღესაც მხარს უჭერენ ევროამერიკელთა სოლიდური პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები. აღნიშნული კი ბადებს იმის სერიოზულ ეჭვს, რომ სააკაშვილი და ნაცები ამ დანაშაულებს სჩადიოდნენ სწორედაც რომ ამერიკელთა დაკვეთით, რათა საბოლოოდ დაეშინებინათ ქართველი ერი, გაეხადათ იგი მონურად მორჩილი, დაევიწყებინათ მდიდარი ეროვნული ტრადიციები და შემდეგ თავიანთ საჯირითოდ გაეხადათ სრულიად საქართველო!

სამწუხაროა ყოველივე ეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარ ეჭვს აქვს არსებობის უფლება, რამაც ღრმად უნდა დააფიქროს ქართველი ერი, რადგან ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს – ვისი ხელით ჩაკლავენ ამერიკელები პატრიოტულ სულს საქართველოში – ნაციონალების თუ რესპუბლიკელების!

# რა მოხდა ლომისას მამათა მონასტერში რუს სამხედროებსა და სასულიერო პირებს შორის – *იღუმენი მათე ჯულაყიძე დეტალებზე საუბრობს*

რა ინსინუაციებზე არ მიდიან მავანნი, რათა კიდევ ერთხელ დააფიქსირონ საქართველოში რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ძალადობის ფაქტები.

ამ მხრივ, საერთო ჯამში, მთლად კარგად რომ ვერ არის საქმე, ფაქტია, მაგრამ მეზობელი სახელმწიფოს ჯარისკაცებს ის არ უნდა დავაბრალოთ, რასაც ისინი არ სჩადიან.

ამის მაგალითად გამოდგება ის, რომ ამას წინათ ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში, ლომისის მამათა მონასტერში რუსი სამხედროების ყოფნის თაობაზე. როგორც ინტერნეტსააგენტოებს იღუმენმა მათე ჯულაყიძემ განუცხადა, რუსი ჯარისკაცები ხშირად მოდიან ლომისის მამათა მონასტერში მოსალოცად, თუმცა რაიმე სახის დაპირისპირება არასოდეს მომხდარა.

**"ჩვენთან ხშირად დადიან, მოილოცავენ და ეზიარებიან ხოლმე. ჩვენთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ჯარისკაცები დღესაც იყვნენ მოსულები. მათ ძაღლები ჰყავთ. როდესაც ისინი შემოვიპატიჟეთ, ძაღლები გარეთ დარჩნენ და ჩვენს ძაღლებთან იჩხუბეს. ჯარისკაცი ავტომატის კონდახით აშველებდა ძაღლებს. სწორედ ამ დროს აქ ბავშვი იყო ამოსული, რომელმაც ეს სიტუაცია გადაიღო და ინტერნეტით გაავრცელა და მიუწერია, რომ ბერებს აწიოკებენო. მეველაპარაკე ამ ბავშვს და აიღო საიტიდან ეს სურათი. რაც შეეხება ჩვენთან ჯარისკაცების დაპირისპირებას, ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.**

**სასაზღვრო ზოლია და რუსი ჯარისკაცები ქსნის ხეობიდან ხშირად ჩამოივლიან ხოლმე. თუ გარეთ ვართ შემოვლენ და მოილოცავენ მონასტერში. თუ ჩვენ არ მოვიპატიჟეთ, ისე არ გვაწუხებენ"**, – განაცხადა იღუმენმა მათე ჯულაყიძემ.

ინფორმაცია რუსი ჯარისკაცების ლომისის მამათა მონასტერში მისვლისა და ბერებთან დაპირისპირების შესახებ ინტერნეტში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა.



# ილიას თვალით დანახული უფსკრულისკენ მიმავალი ქვეყანა



*როგორც იცით, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი ილია ჭავჭავაძეს მწერლად არ მიიჩნევს, სამაგიეროდ, ამ სოროსის ძუძუნაწოვ არარაობას განათლებულ პიროვნებად მიაჩნია პირწავარდნილი დაშნაკი ნაციონალი დავით დარჩიაშვილი. აქებენ ერთმანეთს ეს ორი არარაობა, ზუსტად ისე, გუგული და მამალი რომ ერთმანეთს აქებდნენ, თუმცა არც ერთად და არც ცალ-ცალკე არაფერს არ წარმოადგენდნენ. ამ არარაობებსა და სულმნათ ილიას შორის ოდნავი პარალელის გავლებაც კი მკრეხელობად მიმაჩნია, რადგან ნაცრესპუბლიკელები სწორედ იმ საქართველოს დასანგრევად არიან შემართულები, რომელსაც სიცოცხლე შესწირა დიდმა ილიამ. სწორედ ილიასეული სულისკვეთება გამოსჭვივის წმინდა ილია მართლის ამ წერილში, რომელსაც ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.*

გაზეთი "ილორი"

რეალობისგან გაქცევის სურვილი, მოჩვენებითი გულისტკვილი, ფსევდო პატრიოტული სულისკვეთება, სიბრმავე...

დოგმატური მოძღვრებების მძვინვარება და მათ შეხიზნული, უპრინციპო, ცნობიერებაგამოფიტული ბრბო.

როცა საკუთარ არსებობაში იკარგები, როცა საკუთარი უმოქმედობა გშთანთქავს და უიმედობის სამუდამო სამყოფელში გძირავს, ძნელია იხსნა თავი და მომაკვდინებელი მარწუხებისგან გათავისუფლდე.

ქართულ მწერლობაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გული ერის ტკივილით სტკიოდათ, განიცდიდნენ მათ ერთ ადგილზე გაყინულ ყოფიერებას და ძალისხმევას არ იშურებდნენ ხმა მიეწვდინათ დახშულ ცნობიერებამდე.

ასეთი იყო ილია, რომელის დიდ გულშიც მთელი ქვეყნის პრობლემები, გულისტკივილები ბობქრობდნენ.

საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულს, გულს უკლავდა ერის გათითოკაცება.

ისინი გმობდნენ მიუღებელ აზრს, ცნობიერებას არსებულ სტანდარტებს არგებდნენ, ეს, რასაკვირველია, არა მხოლოდ წარსულში, მაშინდელმა ფეხმოკიდებულმა სენმა თავისი მძლავრი გამოხატულება დღევანდელობაში ყველაზე მეტად ჰპოვა.

ჭავჭავაძე, საკუთარ გულისტკივილს, არსებულ წერილში თვალნათლივ გვიხატავს:

**"თუ ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებას ჩაუკვირდებით, შენიშნავთ ერთს არასასიამოვნო გარემოებას, რომელიც ხელს უშლის ერთის და მეორის წარმატებასაც. არც მწერლობასა და არც საზოგადოებას არ აღმოუჩენია ნამდვილი გზა, რომლითაც უნდა მსვლელობდეს აზრი და გონება, არ დაუდგენია ნამდვილი აზრი ჩვენის წარსულ და აწმყოს ვითარების შესახებ და სამართლიანად ვერ დაგვიფასებია, ვერ გამოგვიკვლევია ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ჯერჯერობით ვერ შევთანხმებულვართ და ვერ აღმოგვიჩენია ის ცენტრალური წერტილი, სადაც გადანასკვულია ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთის სიტყვით, დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწრთვნელობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკვირებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ**

**ჩვენა ვთქვით, რომ კრიტიკული აზრი ვერ დაგვიდგენია ჩვენის ვითარების შესახებ, სამართლიანად ვერ დაგვიფასებია ჩვენი წარსული და აწმყო. კრიტიკულის აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდებით ჩვენს აზროვნებასა. აი, სხვათა შორის, აქ არის იმის მიზეზი, რომ ვერც ჩვენის ისტორიის შესწავლა და კვლევა ვერ დამდგარა ჯერჯერობით ნამდვილს გზაზე და ვერც საზოგადო აზრის მიმდინარეობა. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, ვითომ ყველანი ერთისა და იმავე გზით უნდა ვმსვლელობდეთ, ერთსა და იმავე ყაიდაზე ვგრძნობდეთ და ვგონებდეთ, რომ ყველანი ერთისა და იმავე აზრისა ვიყვნეთ, არამედ იმასა, რომ ჩვენ ერთმანეთის აზრი და მოქმედება ვერ დაგვიფასებია და სამართლიანის თვალით არ გაგვისინჯავს, და თუ ერთმანეთს წუნსა ვდებთ, მხოლოდ იმისთვის, რომ სურვილი და ღონე არა გვაქვს ერთმანეთის აზრსა და მიზიდულებას საძირკველი გავუსინჯოთ.**

**ყოველ დაწინაურებულ საზოგადოებაში აზრის სხვადასხვაობა, მრავალგვარობა კრიტიკის შედეგია და სხვადასხვა აზრისა და მიმართულების მიმდევართ აქვთ ისეთი წერტილი, რომელიც ყველასათვის საერთოა. ჩვენში კი სხვადასხვაობა აზრისა კრიტიკულის აზრის უქონლობის ბრალია და ჩვენის გაუფრთხილებლობისა. ჩვენში ხშირად ერთისა და იმავე საგნის შესახებ იმდენად შეუთანხმებელს და წინააღმდეგს აზრს გაიგონებთ, მერე ისეთს საგნებზე, რომელთა შესახებ მორიგებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ სწორედ გასაოცარია.**

**მაგალითად, ადიდეთ წარსული, აქეთ ძველთა გმირობა და საქვეყნოდ აღიარეთ, რომ ჩვენნი ძველნი შესანიშნავნი იყვნენო, და უსათუოდ გამოვარდება ვინმე და დაგვძახებს, ვითომ თქვენ ადიდებთ ყოველს ნაკლულევანებას წარსულისას, სამარეში იყურებით და მერმისისათვის ზურგი შეგიბრუნებიათ: რა არის პატივსაცემი წარსულშიო, რომელს ერს არ გამოუჩენია გმირობა, რომელს არ გამოუცდია ლხინი და ჭირიო. პირიქით, თუ ვინმემ სთქვა, რომ ჩვენი წარსული შესანიშნავს არაფერს წარმოადგენს, იმაში არც ერთი ნათელი წერტილი არ მოიპოვებაო, მაშინ უსათუოდ ვინმე ყელში გეცემათ და დაგძახებთ, როგორ თუ ჩვენი წარსული სრულიად ტიალოხერიაო. თუ გაბედეთ და სთქვით, რომ ვახტანგ მეფის კანონდებულება დიდი ნაშთია ჩვენის წარსულისაო, რომ იგი ნაყოფია დიდის შრომისა და ჭკუისა, არ შეიძლება ვინმემ არ გიპასუხოთ, რომ იგი კანონდებულება შეიცავს მრავალს მუხთლებს, რომელნიც სრულიად არ ეთანხმებიან კაცთმოყვარეობას და დაწინაურებულის ერის ცხოვრებასაო და, მაშასადამე, არც თვით კანონდებულება არის საყურადღებო და შესანიშნავიო. გაბედეთ და სთქვით, რომ ესა და ეს მწერალი დიდად შესანიშნავია, თავისის ნაწერებით დიდი სამსახური გაუწია სამშობლო მწერლობასა და ენასაო და მაშინვე მოგვარდებიან და შეგძახებენ, რომ თქვენა სცდებით და უღირს მწერალს ადიდებთო. საბუთად იმას დაგისახელებენ, რომ ამ მწერალმა ამა და ამ დროს ესა და ეს უგვანო აზრი წარმოსთქვა და თანაც ესა და ეს საქციელი ჩაიდინაო. თუ გაბედეთ და სთქვით, რომ ჩვენში მწერლობა დიდი ძალაა საზოგადოების წარმატებისაო, მაშინვე, თქვენის აზრის მიუხედავად, გაიძახიან, რომ ჩვენი მწერლობა სრულიად უძლურია, უფერულია, ენა გარყვნილიაო და სხვანი და ამასთანავე დაგწამებენ, რომ საკუთარის ნაკლულევანების აღმოჩენას ერიდებითო და უფრთხითო. ვინმემ რომ სთქვას, საჭიროა ვეცადოთ, თავადაზნაურობამ საკუთარი სკოლები იქონიოსო, იმ წამსვე მოგვარდებიან და დაგწამებენ, რომ საკუთრად თავადაზნაურობის მომხრე ხართ, არისტოკრატიულის აზრებითა ხართ გამსჭვალულიო და გლეხობას სრულიად არ დაეძებთო. თუ გლეხობაზე იზრუნეთ, მაშინ დაგწამებენ მტრობას თავადაზნაურობისადმი და სხვა. ეხლა ვიკითხოთ, ნუთუ ამგვარი უთანხმოება აზრისა, ერთმანეთის გაუგებლობა სამწუხარო არ არის? განა ყოველივე ესე შესაძლებელი იქნებოდა, ჩვენში რომ კრიტიკული აზრი მუშაობდეს? განა ეგ შესაძლებელი იქნებოდა, თუ რომ ჩვენ შეჩვეულნი ვიყვნეთ სამართლიანს მსჯელობას და ყოველსავე საქმის რიგიანად დაფასებას და აწონ-დაწონვას?**

**ცხადია, რომ ზემოთ მოხსენებული გარემოება ხელს უშლის ყოველ საზოგადო საქმის წარმატებას, რადგანაც ყოველივე უსაფუძვლო შეტაკება აზრისა მოითხოვს გარდამეტებულს ლაპარაკს, მითქმა-მოთქმას, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია იქ, სადაც კრიტიკული აზრი მუშაობს. ასე და ამრიგად ხშირად მრავალს სიტყვასა ვხარჯავთ იმისათვის, რაიცა სრულიად უეჭველი უნდა იყოს".**

1888 წ. 8 იანვარი

# საქართველოს "უგვირგვინო მეფეები" – მმართველები, რომელთა სამფლობელოებზეც მეფის ძალაუფლება ვერ ვრცელდებოდა



ბაღვაშები, დადიანები, ჯაყელები – მმართველები, რომელთაც საქართველოს მეფეებთან ხშირ შემთხვევაში დაპირისპირება ჰქონიათ და რომლებიც მუდამ დამოუკიდებელი მმართველობისთვის იბრძოდნენ. საქართველოს მეფეებს ხშირად უწევდათ მათთან დაპირისპირება, შეპყრობა და ქვეყნიდან გაძევება. ისტორიკოს გელა ქისტაურს რამდენიმე ასეთი მმართველის დასახელება ვთხოვეთ.

### ლიპარიტ ბაღვაში

ბაღვაშები კლდეკარის ერისთავები, უძლიერესი ფეოდალები იყვნენ, წარმოშობით იმერეთიდან, არგვეთიდან გახლდნენ და, როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდის მერე თრიალეთში მოდიან და თბილისთან ახლოს მდებარე კლდეკარს იკავებენ.

ბაგრატიონთა და ბაღვაშების დაპირისპირება ბაგრატ მეოთხისა და ლიპარიტ ბაღვაშის დროს დაიწყო. ამ დროს კლდეკარის ერისთავია ლიპარიტ ბაღვაში. ის განაგებდა თრიალეთს, კლდეკარს და თბილისის საამიროს ხელში ჩაგდება სურდა. მისი ინიციატივით 1032 წელს ივანე აბაზასძესთან ერთად ხელთ იგდო თბილისის ამირა ჯაფარი და ბაგრატ მეოთხეს გადასცა, რადგან ეგონა, რომ მეფე სამსახურს დაუფასებდა და თბილისის მიმდებარე ციხეებს გადასცემდა, მაგრამ ბაგრატმა ამირა ჯაფარი გაათავისუფლა. მეფის აზრით, ეს ციხეები ლიპარიტის ხელში რომ გადასულიყო ბაღვაშთა დინასტია უფრო გაძლიერდებოდა. აქედან დაიწყო ლიპარიტსა და ბაგრატს შორის დაპირისპირება.

ამის შემდგომ 1037-1038 წლებში ლიპარიტი ბაგრატ მეოთხესთან ერთად ალყას შემოარტყავს თბილისის საამიროს, ალყა ორი წელი გაგრძელდება, მაგრამ მოულოდნელად ბაგრატმა ალყა მოხსნა და ლიპარიტი მარტო დატოვა. ლიპარიტს და ბაგრატს თბილისი რომ აეღოთ, ლიპარიტი სანაცვლოდ ციხეებს მოსთხოვდა, ზუსტად ამის გამო მოხსნა ალყა ბაგრატმა.

ამავე დროს ლიპარიტი კავშირს ამყარებს ბიზანტიის იმპერატორთან და ისინი ბაგრატის წინააღმდეგ მხარს უჭერენ. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატი საქართველოს მეფეა, ის ლიპარიტის წინააღმდეგ უძლურია. ამ დროს ლიპარიტი თავისი ტერიტორიის უგვირგვინო მეფეა, ბაგრატ მეოთხის კანონები მის სამფლობელოში არ მოქმედებს.

1048 წელს ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკები შემოიჭრნენ, ისინი საქართველოსაც უტევენ და ბიზანტიასაც. ლიპარიტ ბაღვაში ბიზანტიის მხარეს იბრძვის, ის იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო დიპლომატი და მხედართმთავარია. ბიზანტიაში საკმაოდ აღიარებული პიროვნებაა და არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ბიზანტიამ ლიპარიტის დახმარებით თურქ-სელჩუკებს რამდენჯერმე დიდი მარცხი მიაყენა.

ბაგრატ მეოთხემ ლიპარიტი ვერანაირად რომ ვერ დაიმორჩილა, იძულებული გახდა ბიზანტიაში გამგზავრებულიყო, რათა ბიზანტიის იმპერატორს ლიპარიტთან შეერიგებინა. მართლაც იმპერატორმა ლიპარიტი და ბაგრატ მეოთხე დააზავა – ერთიანი საქართველოს მეფედ ბაგრატ მეოთხე აღიარა, მაგრამ ლიპარიტი საქართველოს სამხრეთ ტერიტორიების – მესხეთის ბატონ-პატრონად გამოცხადდა. მართალია ლიპარიტის მეფე ბაგრატია, მაგრამ ლიპარიტი თავის მამულში სრულიად ხელშეუხებელი იყო.

### ლევან მეორე დადიანი

დადიანების საგვარეულო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დროს უძლიერესი გვარია. ლევან მეორე დადიანი ოდიშს 1611 წლიდან 1657 წლამდე განაგებდა. მამის გარდაცვალებისას ლევანი მცირეწლოვანი იყო, ამიტომ 1620 წლამდე ოდიშს ლევანის ბიძა, გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. უკვე სრულწლოვანმა ლევან მეორემ ბიძამისი მმართველობას ჩამოაშორა და ოდიშის მართვა-გამგეობას სათავეში თავად ჩაუდგა.

მას მუდმივი დაპირისპირება ჰქონდა იმერეთის სამეფოსთან და იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდა. 1632 წლიდან ირანის შაჰის ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდა როსტომი ანუ ხოსრო მირზა, ლევან მეორე დადიანმა თავისი და, მარიამი როსტომს მიათხოვა, რამაც მისი გაძლიერება და თავნებობა გამოიწვია. თავად ცოლად აფხაზთა მთავრის ასული მოიყვანა, მაგრამ ძალიან მალე მეუღლე დასაჯა. ცილი დასწამა, რომ თავისმა ცოლმა პირველ ვეზირ პაატა წულუკიძესთან უღალატა, ამიტომ დადიანმა ცოლს ცხვირი მოაჭრა, აფხაზეთში გადაიყვანა, იქ დატოვა, აფხაზეთი კი მოაოხრა და ოდიშში ნადავლით დარუნდა. ამის მერე ლევანმა ბიძამისს მეუღლე წაართვა და თავად მოიყვანა ცოლად.

ლევან მეორე დადიანი სისტემატურად არბევდა გურიის, განსაკუთრებით კი იმერეთის სამეფოს, საიდანაც ადგილობრივ ქართველებს იტაცებდა და ოსმალეთში ყიდდა, ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტყვეთა ყიდვა ლევან მეორე დადიანის სახელთან და საქციელთანაა დაკავშირებული.

ქართველი ისტორიკოსის, ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, ლევან მეორე დადიანმა 1657 წელს თავი მოკლა. კერძოდ, მას ერთადერთი ვაჟიშვილი დაეღუპა, შვილის დატირების დროს თავზე ლახტი დაირტყა და შვილის ცხედარს დააკვდა.

### ლიპარიტ მეოთხე ბაღვაში

ბაღვაშთა დინასტიაში კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელია ლიპარიტ მეოთხე ბაღვაში. დავით აღმაშენებელის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბაღვაშთა დინასტია ისევ ძლიერია. ლიპარიტ მეოთხე საკმაოდ ძლიერი ფეოდალი იყო. დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თითქოს ლიპარიტი დავითის ერთგული იყო, მაგრამ როგორც ჩანს მან ეს **"მოჩვენებითი ერთგულება"** გამოამჟღავნა და 1093 წელს დავითმა ლიპარიტ მეოთხე ბაღვაში შეიპყრო.

ცოდვების მონანიების შემდეგ, მეფემ ერისთავი პატიმრობიდან გაათავისუფლა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ლიპარიტი ხელახლა შეიპრო. სინამდვილეში ლიპარიტ მეოთხე ბაღვაში დავითის წინააღმდეგ მოქმედებდა. 1095 წელს დავითმა ერისთავი ხელახლა დააპატიმრა და 1097 წელს ბიზანტიის იმპერიაში გააძევა. 1103 ლიპარიტის ვაჟის, რატის გარდაცვალების შემდეგ ბაღვაშთა დინასტიის არსებობა შეწყდა.

თაკო ესებუა

# ხვამლის ქვაბულის საიდუმლოებანი



ხვამლი, იგივე ხომლი – კირქვული მასივი ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილში, ცაგერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მთის სიმაღლე 2002 მეტრია. ეს ორმაგი კუესტაა. (ასიმეტრიული სერი, რომელიც წარმოიქმნება ერთი მიმართულებით დახრილ (მონოკლინურ) სხვადასხვა სიმკვრივის შრეთა ზედაპირული გადარეცხვის შედეგად). ხვამლი აგებულია ცარცული კირქვებით. სამხრეთისკენ აჩენს 300 მ. სიმაღლის ქარაფს, სადაც მდებარეობს ხვამლის ისტორიული ქვაბ-სახიზარი და რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

ორივე კუესტის ჩრდილოეთი დაფერდება დაცხრილულია მრავალი კარსტული ძაბრით. მღვიმეებიდან აღსანიშნავია თეკენთერი (შესასვლელი წიფლის ფუღუროდან) და ყინულოვანი მღვიმე ბოგა. ხვამლი შემოსილია შერეული ტყით.

– ეს რაც შეეხება ხვამლის მთის მდებარეობასა და გარეგნულ მონაცემებს, ბევრად საინტერესო ინფორმაცია კი უფრო ღრმად იმალება, რომელიც არაერთი სპეციალისტისა თუ მკვლევრის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. რატომ არის ეს მთა ასეთი მნიშვნელოვანი? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ იხილავთ.

ხვამლის მთა არაერთ ისტორიულ ცნობაშია ნახსენები, მათ შორის ჟამთააღმწერლის, **„ქართლის ცხოვრების“**, ვახუშტი ბატონიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დავით ულუსა და დავით ნარინის მემატიანეში და ა.შ.

**„რიონის დასავლეთით, მთის ძირას არის ხომლის კლდე ფრიად მაღალი, მიეღოა მას სახელი ესე სიმართლით ხომლის ვარსკვლავისსწორობით, ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთასადები“** – ლეჩხუმის აღწერისას ხვამლის მთის შესახებ ასეთ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. (**„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“** (ქც 4: 219,12, სქ. 2).)

**„ხვამლი, იგივე ხომლი, ვარსკვლავთ კრებულს ნიშნავს. ძველ დროში ასტრონომიულ ცოდნას ფლობდნენ ქურუმები და ისინი ამბობდნენ, ყველაფერი, რაც ხდება დედამიწაზე აისახება ცაზე და პირიქით. იანგეველის ატლასში ჰიდრას თანავარსკვლავედს თუ მოვძებნით, უცნაურ პარალელს გავავლებთ ხომლთან. გაწოლილ ვეშაპს თასი ზურგზე ადგას, კუდთან კი ყორანი ზის. ჰიდრას ქვემოთ „არგოს“ თანავარსკვლავედია. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს თასი იგივე გრაალია – ოქროს საწმისი, ის უძველესი და საკრალური ცოდნა, რომლის დაუფლებასაც ასე ცდილობდნენ ბერძნები. ყორანი კი სწორედ ის მტაცებელია, რომელიც კავკასიის, ანუ ხვამლის კლდეზე მიჯაჭვულ ჰერაკლეს უკორტნის გულ-ღვიძლს“.** (გურამ გაბიძაშვილი).

საინტერესოა, დავით ულუსა და დავით ნარინის მემატიანეს ცნობებიც: **„ამისათვის განიყვნენ მეფეთა ქვეყანანი და ქალაქნი ქუთაისი და ტფილისი ორად, არამედ ხომლის ქუაბსა შინა რაიცა იყო, მცირედნი განყვეს და უფროსი ქვაბსავე დაუტევეს, ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული, სალმასური და თვალი იგი პატივცემული გრდემლი, და მარგალიტი იგი დიდი, რომლის სწორი არავის-სადა უხილავს. ესეც სამივე რუსუდანისძესა დავითს მიხუდა.“** ( (ქც 4: 219,11-13)

ხომლის მთა აგრეთვე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერილი აქვს ფრანგ მწერალ-ფანტასტ ჟიულ ვერნს თავის სათავგადასავლო რომანში **„შეუპოვარი კერაბანი“**. ციტატა წიგნიდან:

**„ამ მთებში, რომლებიც კვეთენ ჰორიზონტს თანამედროვე ქუთაისიდან იაფეტისა და კლიმენას შვილი პრომეთე, რომელმაც მოიტაცა ცეცხლი, იუპიტერის (ზევსის) ბრძანებით მიჯაჭვული იქნა ხომლის მწვერვალზე და მას ყორანი უკორტნის გულ-ღვიძლს.“**

ძველი ისტორიული, ანტიკური, წყაროებიდან ხვამლი, იგივე ხომლი, მიიჩნევა ბერძნული მითიური ლეგენდარული გმირების – არგონავტებისა და ჰერაკლეს მოგზაურობი სემისტიკურ ადგილად. მთა, რომელზედაც ზევსის ბძანებით მიაჯაჭვეს პრომეთე და რომელიც შემდგომ დაიხსნა ჰერაკლემ. XIX საუკუნის 50-იან წლებში ხვამლს ეწვია იტალიელი მოგზაური და მკვლევარი დანიელა პიზაგალი, რომელიც ბერძნულ ანტიკურ წყაროებზე დაყდნობით ეძებდა არგონავტების, პრომეთეს მიჯაჭვის ადგილებს. როგორც შემდგომ მკვლევარი თავის მოგონებებში წერს, იგი ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა კარგად იცოდნენ ეს ლეგენდა და მათ ყველაზე მეტად უხაროდათ როცა მტაცებელ სვავს მოინადირებდნენ, რომელიც ლეგენდის თანახმად პრომეთეს გულ-ღვიძლს უკორტნიდა.

მითოლოგიიდან ცნობილია, რომ ჰერაკლე, იოს დავალებით, უნდა აუყვეს ფასის (ფაზისი, დღევანდელი რიონი) მდინარეს, მარცხენა მხარეს, მიადგეს გამოქვაბულს, საიდანაც წყალი გადმოედინება, გადააგდოს ეს წყალი, შევიდეს შიგ და პრომეთე გაათავისუფლოს. **„ჩვენ გავიკითხეთ და იქაურებმა დაგვიდასტურეს, რომ მსგავსი წყლის გასავალი არსებობს. მივედით, გაზაფხული იყო, მაისის ბოლო და ქვაბულიდან წყლის ნაკადი ისე მოჰქუხდა, რიონს თითქმის კეტავდა. როგორც ჩვენმა მეგზურებმა გვითხრეს, წლის სხვადასხვა პერიოდში წყლის ნაკადი ხან ცხენისწყლის ხეობისკენ მიდის, ხან – რიონისკენ. ამასთან დაკავშირებით ლეგენდაც კი არსებობს: თურმე, იქ გველეშაპია გაწოლილი და საითაც გადაბრუნდება, წყალსაც იმ მიმართულებით უცვლის გეზსო. შემოდგომით შეიძლება გამოქვაბულში შესვლა. ჩვენც შევედით, მაგრამ 50 მეტრის გავლის შემდეგ სიფონს (მიწისქვეშა წყალსატევი) გადავაწყდით და შევჩერდით. იქ შემდგომი კვლევის გაგრძელებას მხოლოდ სპელეოლოგები შეძლებენს პეციალური აღჭურვილობით.“** – აღნიშნავს ერთ-ერთი დიდმასშტაბიანი ექსპედიციის ხელმძღვანელი – გურამ გაბიძაშვილი.

ხვამლისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში გაჩნდა და სხვათა შორის, არის ცნობები იმის შესახებ, რომ სტალინი თავად დაინტერესდა ამ საიდუმლოებით მოცული ადგილით და მისი ბრძანებით გაიგზავნა კიდეც საექსპედიციო ჯგუფი – 1945 წ. ხვამლის ქვაბებში მოეწყო ალპინისტურ-არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. ალ.ჯაფარიძე, გ.ლომთათიძე). გამოირკვა, რომ მთავარი კარსტული წარმოშობის, შემდგომში გაფართოებული ქვაბი, რომელშიც წყარო გამოდის, წინიდან აზიდული ყოფილა ქვითკირის მკვიდრი კედლით, რომელშიც სხვადასხვა დონეზე დატანებულია სარკმლები და საჭვრეტები. შიგ ორი-სამი სართული ყოფილა გამართული. ამ ქვაბს ზემოთ, კლდეში გამოჭრილია მცირე, უაღრესად ძნელად მისადგომი ქვაბი, რომელშიც, როგორც ჩანს, ინახებოდა სახელმწიფო საგანძური. ქვემოთ კლდეში გამოჭრილია გრძელი და განიერი ბაქანი, თავის დროზე წინიდან აზიდული და განივად გატიხრული. ეს მრავალსენაკიანი, ქვითკირის ნაგებობა მცველი რაზმის სადგომადაა მიჩნეული. ამ ბაქანზე თხრისას თავი იჩინა კერათა ნაშთებმა და კერამიკამ – სამზარეულო ჭურჭელმა და ქვევრების ნატეხებმა. მონაპოვარს შორის არ ჩანდა მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. ექსპედიციის ყურადღება მიიპყრო კლდოვან კედელზე წითელი საღებავით, გაუწაფავი ხელით დახატულმა სურათმა – მშვილდოსანი ცხენოსნების ნადირობამ. ნახატი მოგვაგონებს სვანურ საწესო, **„სულთანახატებს“, „ლიფანალისას“**. ამიტომ ხვამლის ქვაბების მცველად ექსპედიციის წევრებმა სვანები მიიჩნიეს. ნახატი თოფის შემოღებამდე ჩანს შესრულებული. ხვამლის ქვაბებს XII-XIII სს-ს მიაკუთვნებენ (ლომთათიძე 1977: 131).

ამ 11-კაციანმა ჯგუფმა რამდენიმე დღე დაჰყო ქვაბულში, თუმცა, მათი თქმით, ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ნახეს და დაასკვნეს, რომ განძი დიდი ხნის გატანილი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპედიციამდე, 1939 წელს, იმავე მიზნის, ალიოშა ჯაფარიძე იქ ორ მუშასთან ერთად ავიდა, ოფიციალური ცნობები არ არსებობს, თუმცა, ამბობენ, რომ ეს ექსპედიცია უშუალოდ სტალინის ბრძანებით მოეწყო.

მცირე ექსპედიციები ხშირად ტარდებოდა, თუმცა თითქმის არცერთი მათგანი არ იყო დიდმასშტაბიანი და ღრმად კვლევითი ხასიათის. მეორე დიდმასშტაბიან ექსპედიციად ჯგუფ **„ხომლის“** ექსპედიცია მოიაზრება, რომელსაც რეზო შალიბაშვილი ხელმძღვანელობდა. 1984 წელს განხორციელებული ექსპედიციის მიზანი ძეგლის დათვალიერება და ფირზე აღბეჭდვა იყო.

რაც შეეხება მესამე და ყველაზე მნიშვნელოვან ექსპედიციას – 2007 წელს, არქეოლოგ გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით, მოეწყო ხვამლის ექსპედიცია. მათი თავდაპირველი მიზანი და ინტერესი ხვამლის, როგორც ძველი განძსაცავის გამოკვლევა იყო. „ქართლის ცხოვრების“ ჟამთაღმწერლის ცნობით, ეს ადგილები სწორედ ქართველ მეფეთა უმნიშვნელოვანეს განძსაცავს წარმოადგენდა. 2009 წელს ექსპედიციამ რუსთაველის გრანტი მოიპოვა და კიდევ უფრო დიდმასშტაბიანი და კვლევითი ხასიათის გახდა, სწორედ ამ ექსპედიციების დროს დავით გოგუაძემ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ხვამლის ქვაბულის შესახებ. ფილმი ძალიან საინტერესო და საკმაოდ ამომწურავი ხასიათისაა, თუმცა ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია ჩვენთვის და ბევრ კითხვას აჩენს ეს მისტიკური ადგილი – ფაქტია.

გურამ გაბიძაშვილი ასე აღწერს ხვამლის ქვაბულს: **„ქვედა ბაქანი კლდეშია გამოკვეთილი, სადაც 7 ოთახია და კედლებზე, წითელი საღებავით გამოხატული ფიგურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვაბული არქაულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრების რეალობას უფრო ამძაფრებს ოთახების თავზე სუფთად ნათალი მასიური ქვის კარნიზი. ზედა ბაქანით უკვე შუასაუკუნეების ციხე-ქვაბულში შევდივართ. ეს არის მერვე ოთახი, რომელიც, როგორც ჩანს, გვიანდელ პერიოდში რაღაც დანიშნულებით მიამატეს კომპლექსს. სავარაუდოდ, სწორედ ეს ოთახი უნდა ყოფილიყო მეფეთა ხსენებული განძთსაცავი. იგი სანახევროდ სავსეა ჭერიდან ჩამოყრილი ქვებით და მისი გაწმენდა უამრავ დროსა და მუშახელს მოითხოვდა, რისი საშუალებაც ჩვენ არ გაგვაჩნდა.“**

ერთი ყურადსაღები ფაქტი – რკინის წარმოების საიდუმლო ცოდნას ფლობდნენ ტროელები და ამიტომაც იყვნენ მუდმივი თავდასხმის ობიექტი. მით უმეტეს, რომ იმ ეპოქაში რკინას გაცილებით მეტი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს ნავთობს მსოფლიოში. ხვამლის ძირში კი, არის ერთი ადგილი „გონა“ და რაჭაშიც არის იგივე ტოპონიმი. გონა ანუ გონი სულხან-საბას განმარტებული აქვს – **„კერპი აღმართებული“** და ცნობილია, რომ ის იყო უმთავრესი კერპი წარმართულ საქართველოში. ეტიმოლოგიურად კი ეს სიტყვა გონებას ანუ ცოდნას უნდა უკავშირდებოდეს. რაჭის გონის მთაზე იყო მაღაროები. ძველად იქ ბილიკებით ადიოდნენ და მადნის ძარღვს მიჰყვებოდნენ, ამტვრევდნენ, გამოჰქონდათ და იქვე ამუშავებდნენ, ყალიბებში ასხამდნენ. მეცნიერმა – თემურ მუჯირმა, ასეთი ექსპერიმენტიც კი ჩაატარა: რამდენიმე ადგილობრივი, რაჭველი, ჯანიანი ახალგაზრდა შეაიარაღა უროებით და უძველესი მეთოდით გონის მაღაროდან რკინის მადნის მოპოვება განიზრახა. ორი კვირა იმუშავეს და მხოლოდ 2 სანტიმეტრის ჩამომტვრევა შეძლეს. აქედან ჩანს, რომ ძველად ქართველებს ისეთი იარაღი ჰქონდათ, რომლითაც რკინას ჭრიდნენ, ანუ ფოლადის დამზადების საიდუმლოს ფლობდნენ. გამოდის, რომ გონი ცოდნაა, რომელიც რკინის მოპოვებასა და მის დამუშავებას მოიცავს. ამ ფაქტმა გადააწყვეტინა საექსპედიციო ჯგუფს, რომ ხვამლის გონის მიდამოები გაეთხარა.

**„ჩავატარეთ ზედაპირული გათხრები და მოპოვებულმა ბრინჯაოსა და რკინის ნივთებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი ვარაუდი. წიდები და მადნის ზოდები, ფაქტობრივად, მიწის ზედაპირზეა მიმოფანტული და თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ამ ადგილებში დაფიქსირდა განვითარებული მეტალურგიის კერა. ეს ყველაფერი მოიცავს კოლხური კულტურის პერიოდს და გაცილებით მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ეს დღეს ჩვენთვის არის ცნობილი.“**

ადგილობრივები სხვადასხვა მითისა და მისტიკური ისტორიის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას, ბევრი მათგანი ამბობს, რომ მათ ბებიებსა თუ ბაბუებს ხშირად უნახავთ ამ ქვაბულში გიგანტური ადამიანების ძვლები, გარდა ამისა, აქ ხშირად ჩნდება ბერ-მონზავნების ლანდები და ხშირად ისახება ჯვარი.

რაც შეეხება ხვალმის ქვაბულში აღმოჩენილ პიქტოგრამებს, მეცნიერების ვარაუდით, ისინი კოსმიურ სფეროს ეხება, რადაგანაც ფიგურები ზოდიაქოს ნიშნებს გამოსახავენ, მათ შორის, „მერწყულს“, **„თხის რქას“**, ცხენზე მჯდომ მერკურს, ვენერას, **„მშვილდოსანს“**, ომის ღმერთ – მარსს, ანქის გასაღებს და სხვ. გაბიძაშვილის ექსპედიციამ სპეციალური ასტრონომიული პროგრამით აღადგინა ვარსკვლავიანი ცის სურათი ძვ.წ.-ით 5604 წლისთვის.

ექსპედიციის ხელმძღვანელის მოსაზრებით, ამ წელიწადს მერკურის, ვენერას, მარსისა და მშვილდოსნის განლაგება ზუსტად ემთხვევა ხვამლის ქვაბულში დახატულ პიქტოგრამათა სქემას. როგორც არ უნდა ვეცადოთ, ეს კომბინაცია არცერთ სხვა წელს არ მეორდება. აღნიშნული წელი კი ემთხვევა დედამიწაზე მომხდარი უკანასკნელი წარღვნის თარიღს – 5604 წელს ძველი წელთაღრიცხვით. თანამედროვე გადათვლით სწორედ 5604 წელია შუმერების და ასევე ქართველების წელთაღრიცხვის საწყისი დასაბამიდან აქამომდე, ანუ ქრისტეს დაბადებამდე. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამ კედელზე წარღვნის შემდგომი ახალი წელთაღრიცხვის ასტრონომიული სურათია დაფიქსირებული.

მეცნიერების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ აქ ობსერვატორია იყო, ხოლოს ეს პიქტოგრამები ფარაონების აკლდამების კედლებზე გამოსახული პიქტოგრამების იდენტურია. გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ჯერ კიდევ ბევრ კითხვაზეა პასუხი გაუცემელი. ხვამლის ქვაბული კი, ამ დრომდე ინარჩუნებს საიდუმლოებებით მოცული, მისტიკური ადგილის სახელს.

**ნატალია ჯალაღონია**


გამოყენებული წყაროები: „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“, გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. (740გვ.), რედ.და პროექტის ხელმძღვ. გელა გამყრელიძე. საქ. ეროვნ. მუზეუმი, არქეოლ. ცენტრი. – პირველი გამოცემა. – თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2013. – 739 გვ.;

ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 219,12, სქ. 2).;

ჟამთააღმწერელის თხზულება (ქც 2: 243,14) ;

ჟურნალი „თბილისელები“ – „რომელი ისტორიულ-მითოლოგიური წყაროებით დასტურდება, რომ ხვამლის კლდეზე იყო მიჯაჭვული პრომეთე და რა დავალებით გააგზავნა იქ სტალინმა ალპინისტი ალიოშა ჯაფარიძე“ ( 09.01.2009).

# “ნაციონალური” ლიტერატურათმცოდნეობა, ანუ, ”რაც უნდათ, ის იყრანტალონ!”



“ჩემი დაკვირვებით, ქართულ მწერლობაში სიცილს სამი მიმართულება აქვს: პირველი ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, მეორე – დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის, მესამე – ნოდარ დუმბაძის... როცა ილია და მიხეილ ჯავახიშვილი ხარხარებენ, გაწნული სილის ტკაცუნი ისმის. მამხილებელი ძალა სირცხვილით გწვავს და გდაღავს. როცა კლდიაშვილი და ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანის მიმართ თანალმობის სურვილი გიჩნდებათ... როცა დუმბაძე იცინის, მხიარულების ძალით ივსებით. სიცილი გაჭირვების დამთრგუნველი იარაღია”, – აკაკი ბაქრაძე.

გასულ კვირას თამამად შეიძლება “ქართული ლიტერატურის გარჩევის” დღეები ეწოდოს. სეზონი უმცირესობის წევრმა დავით დარჩიაშვილმა გახსნა და ნოდარ დუმბაძე გააკრიტიკა. ძალიან მალე, მას განათლების ყოფილმა მინისტრმა გია ნოდიამ აუბა მხარი, თუმცა, მხოლოდ დუმბაძის კრიტიკას არ დასჯერდა და ქართველ კლასიკოსებს გადასწვდა...

**რევაზ მიშველაძე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:** – დარჩიაშვილისა და ნოდიას ნაბჟუტურები პასუხის ღირსადაც არ მიმაჩნია, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სათქმელი. შესაძლოა, ვიღაცას მოსწონდეს ან არ მოსწონდეს ესა თუ ის მწერალი და ყველაფერი მიეტევებოდათ, რომ არა ერთი პატარა დეტალი – ასეთი დამოკიდებულება ყველაფერი ქართულის მიმართ წლების განმავლობაში, “ნაციონალური მოძრაობის – გლობალური პოზიცია იყო. სწორედ ქართული ინსტიტუტების განადგურებით დაიწყეს მმართველობა –- მწერალთა კავშირს ზონდერბრიგადა შემოუსიეს და გალაკტიონის, კონსტანტინეს, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ლადო ასათიანისა და სხვა მწერლების მემორიალური ნივთები ქუჩაში გამოყარეს. გალაკტიონის მიერ მხრით მოტანილი კარადა ქუჩაში მოისროლეს. გარეთ გამოაგდეს კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი. ეს ნივთები დაიკარგა...

ბატონო ნოდია, კონსტანტინე გამსახურდია ხმალამოღებული ებრძოდა სასტიკ რეჟიმს, რათა მწერლის ხმა საქვეყნოდ გასაგონი ყოფილიყო, რადგან გაჭირვების ჟამს მთავარი მებაირახტრე სწორედ ქართველი მწერალია. ამ მოტივაციით არის გაჟღენთილი **“დიდოსტატის მარჯვენაც”, “მთვარის მოტაცებაც”** და **“დავით აღმაშენებელიც”**, რომლის ბოლომდე წასაკითხად თურმე ნერვები არ გეყოთ...

**“საერთოდ ვერ ვხვდები, რატომ ითვლება კონსტანტინე გამსახურდია დიდ და გამოჩენილ მწერლად?”** – კითხულობს ნოდია. არ გაგიკვირდეთ, რადგან ნოდიაზე ცოტა ხნით ადრე იმავე ხელისუფლების დროინდელი განათლების მინისტრი, რომელიც დაფაზე სიტყვას გამართულად ვერ წერდა, ამბობდა, სტუდენტების ხელში წიგნი არ დავინახოო და უმაღლეს სასწავლებლებში წიგნის მაღაზიები გააუქმა. სასკოლო პროგრამიდან ამოიღო კონსტანტინე გამსახურდიასა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები. ბავშვებს დღეს უკუღმართი გონების მიერ შექმნილ მოთხრობებს ასწავლიან...

როგორც რიგითი ქართველი, ერთად ერთი სიტყვით გიპასუხებდით, – ამ სისულელეებზე რა გიპასუხოთ-მეთქი, მაგრამ კატას ეჟვანი თუ არავინ შეაბა, თუ არავინ უთხრა ამ გაუკუღმართებული აზროვნების ყალბ პოლიტიკოსებს სათქმელი, ეგონებათ, რომ ცამდე მართლები არიან, რადგან წინააღმდეგობასაც კი არავინ უწევს და ისედაც დაბნელებული ვითარება ჩვენი ლიტერატურისა, უფრო დაბნელდება... მაინტერესებს, ვინმე არის ქართულ მწერლობაში მათთვის მისაღები?!..

ნოდია არ არის იმ ტემპერამენტის კაცი, **“დავით აღმაშენებელს”** ან **“გველის პერანგს”** ჩასჯდომოდა... რაც შეეხება დარჩიაშვილს, ნოდარ დუმბაძე მხოლოდ **“თეთრი ბაირაღების”** ავტორი არ არის და იმ ნაწარმოებში მხოლოდ ქურდებზე არ საუბრობს, დუმბაძემ ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურაში. 50-იან წლებში სამოქალაქო თემებს მოწყვეტილი მკითხველი ერთბაშად დათბობისკენ, სიყვარულის, უშუალობისა და იუმორისკენ შემოაბრუნა. მის ნაწარმოებში შეიძლება ცრემლიანი თვალებით გულიანად იცინო... ეს ნიჭია და გურიის ერთ სოფელში დაბადებული ქართული სული, რომლის განცდასა და აღქმას ბევრად მეტი სჭირდება, ვიდრე უცხოეთში მიღებული განათლება. ეს თქვენ არ გაგაჩნიათ, ბატონებო, და ამიტომაც ვერ ჩასწვდით მათ. როგორც ბატონი დარჩიაშვილი დუმბაძეზე საუბრისას ამბობს, **“ეს ოჯახში უნდა გესწავლათ”.** ნოდიას, დარჩიაშვილისა და მათი სულიერი და-ძმების დამსახურებაა, რომ რომანს, პროზას, მოთხრობასა და საერთოდ, ნებისმიერ ლიტერატურულ ჟანრს **“ტექსტს”** უწოდებენ.

**“ვეფხისტყაოსანი”**, თურმე, ტექსტი ყოფილა, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის **“კაცია-ადამიანი”** და **“ოთარაანთ ქვრივი”**. ისეთი პატარა ტვინები აქვთ, რომ მიაჩნიათ, სათანადო შეფასების კრიტერიუმი მათ ხარისხს დააკნინებს...

იყრანტალოს რამდენიც უნდა დარჩიაშვილმა, ერთხელ და სამუდამოდ გაკოტრებულმა ნოდიამ რაც უნდა, ის თქვას პოლიტიკაზე, მაგრამ ქართულ ლიტერატურას თავი დაანებონ!

ისინი ხომ ნოვატორ პოეტებად მიიჩნევენ იმათ, ვინც გალაკტიონზე თქვა, ერთი სოფლელი ბიჭია, ბანძი პოეტიაო, სამაგიეროდ, თავად შექმნა შედევრი: **“თუ არ წაიკუზები, არ მოგივა მუზები”...**

კლასიკოსების ქომაგობა ჩემგან უპრიანი არ არის, მათ ჩემი დაცვა არ სჭირდება, რადგან დრო ამბობს თავის სათქმელს! მწერლების შეფასებისას ადრეც შემცდარან კრიტიკოსები, ექსპერტები, მაგრამ როდესაც ხელმოცარული პოლიტიკოსები ასე თავხედობენ და ჰონორით გელაპარაკებიან იმაზე, რაზეც წარმოდგენა არა აქვთ, შეურაცხმყოფელია.

### “ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისის წინაშე”

**დავით დარჩიაშვილი: “ვიღაც “აშეარებს” “თეთრი ბაირაღებიდან” პასაჟებს და წერს, გენიალურიაო. ვიღაც “ულაიქებს – აბა, რა ავუხსნა, როგორ გავაგებინო, რომ ამ სიტყვების, პასაჟების დამწერი ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისისა და ისტორიის წინაშე; რომ ვინმე ქურდი დევდარიანის სიტყვები მდარე ტომობრიობა და პოპულიზმია... გენაცვალეთ, “თეთრი ბაირაღები” ტიპური ქართულ-საბჭოთა ნაწარმოებია, სტალინის ფილოსოფიის გადმომცემი, რომელშიც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს, მაგრამ ეგ ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა ისწავლოთ”.**

### “კოწია რატომ არის დიდი მწერალი, არ მესმის”

**გია ნოდია: “ნოდარ დუმბაძეს ძალიან კარგი ტექსტებიც აქვს, მაგრამ ის იყო ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბირინთებში ტრაგიკულად დაბნეული პიროვნება. კრიმინალური “გაგების – რომანტიზაცია ნამდვილად იყო ამ ლპობადი ტოტალიტარიზმის ქართული ვერსიის ერთ-ერთი გამოვლენა და დუმბაძეს აქვს შეტანილი წვლილი მის ლეგიტიმაციაში.**

**ჭაბუა ამირეჯიბის პროზაც ამ სინდრომის გამოხატულებაა, მაგრამ ლიტერატურულად გაცილებით ნაკლებღირებული. “დათა თუთაშხია” ძალიან სუსტი რომანია: გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და თავს ვერ დავაძალე, მეორე ნაწილი (ან ამ მწერლის რომელიმე სხვა ტექსტი) წამეკითხა...**

**კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, “დიდოსტატის მარჯვენაში” რაღაც ადგილები მომეწონა, “მთვარის მოტაცებაში” – გაცილებით ნაკლები, “დიონისოს ღიმილზე” ლამის ცუდად გავხდი (ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და იმიტომ წავიკითხე საერთოდ), ხოლო “დავით აღმაშენებლის” წაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა: ეტყობა, ამ ცხოვრებაში ვეღარ წავიკითხავ, მერე ვნახოთ. აქვე დავამატებ, რომ ჩემი აზრით, მერაბ ბერძენიშვილის (!) მიერ შესრულებული მისი ქანდაკება ე. წ. გეგეშიძის ბაღში (თავისი გმირის მიმართ აშკარად ირონიული) კარგად გამოხატავს კოწიას პიროვნებას”.**

(განათლების ყოფილმა მინისტრმა არ იცის, რომ ამ ძეგლის ავტორი მერაბ ბერძენიშვილი კი არა, მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილია – ავტ.)

გრიგოლ რობაქიძის **“გველის პერანგი”** მოვალეობის გამო წავიკითხე, სრულიად უბადრუკი ტექსტია. ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარა ფაშისტი იყო, მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო?..

თუ არსებობს **“ყველაზე დიდი ქართველის”** ნომინაცია, ასეთი ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ დიდი ვერაფერი პოეტი იყო... ძალიან გამიხარდა ნიკა გვარამიას პოსტი, დავით კლდიაშვილი ყველაზე მაგარი ქართველი მწერალიაო. მეც ვთვლი, რომ ძალიან მაგარი და დაუფასებელი მწერალია და არ ვიცოდი, რომ ჩემნაირად სხვებიც ფიქრობდნენ. **“ბაკულას ღორები”** ძალიან კარგად გამოხატავს ჩვენს სიტუაციას დღესაც და ისევ **“ორნაქმარები და უშვილო”** საცოლის ძიებაში ვართ ერი... (!)

(გია ნოდიას **“ბაკულას ღორები” “სამანიშვილის დედინაცვალში”** აერია, სადაც პლატონი დაქვრივებული მამისთვის ორნაქმარევ და უშვილო ქალს ეძებს – ავტ.).

ქართველი მწერლების გაკრიტიკებას საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება მოჰყვა:

**“ნოდია!!! მოასწარი და აქ წაიკითხე, თორემ სადაც შენ და ძმანი შენნი ამ ცხოვრების შემდეგ მოხვდებით, ბიბლიოთეკა არ არის... იმ ყველაფრის წაკითხვამ, რაც მდარედ მიიჩნიე, შესაძლოა, თქვენში ჩამკვდარი ადამიანური საწყისი გამოაცოცხლოს...”**

**“ახლა გაიგეთ, თუ რატომ დაინგრა და გაცამტვერდა განათლების სისტემა? ასეთები რომ ედგნენ სათავეში... ბატონო გია, იქნებ გვირჩიოთ, ზემოხსენებული მწერლები რომელი ამერიკელი მწერლებით ჩავანაცვლოთ, რომ ოკეანის გადაღმიდან ძია სემმა ქოჩორზე ხელი გადაგისვათ... თქვენთვის ყველაფერი ქართული მიუღებელია, რას იზამთ, დიდი ძალა აქვს სოროსის მწვანე ნამცეცებს, ქართულ მწერლობას კი არა, სულსაც კი მიჰყიდით ეშმაკს... მეცოდებით!**

**“როგორ ლანძღავთ მათ, ვინც ქართულ ლიტერატურას შედევრები შესძინა?! “გველის პერანგს” მდარე ნაწარმოებს ის უწოდებს, ვინც ამ რომანის არსს ვერ სწვდება.**

**“თქვენ გაუკეთეთ პრეზენტაცია “საიდუმლო სირობას”. ეგ ხომ არის თქვენთვის ღირებული? ესეც თქვენი უწიგნურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა... მრცხვენია, რომ ჩემი ლექტორი იყავით და საერთოდ მრცხვენია, რომ ქართველი ხართ”.**

**“ბატონო გია, ასეთი უწიგნური თუ იყავით, არ ვიცოდი... ნუღარ კეკლუცობთ, აღარა ხართ საინტერესო”.**

ლალი პაპასკირი

# შავიზღვისპირეთი უძველესი დროიდან

ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემიდან **„არგონავტიკა“** და სხვა მეცნიერთა შრომების საშუალებით დადასტურდა, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და მთელს დასავლეთ საქართველოში არსებობდა კოლხთა ძლიერი, სუვერენული ქალაქ-სახელმწიფო – **„აია“.** ზოგ უძველეს წყაროში მოიხსენიება იგი როგორც **„ია“.** მეხუთე საუკუნის ბიზანტიელი ავტორი სტეფანოზი წერს: **„არის აგრეთვე ქალაქი დიოსკურია პონტოსთან, მას სხვანაირად სებასტოპოლსი ჰქვია, ადრე „აია“ ეწოდებოდა. მის მცხოვრებლებს დიოსქურები ეწოდებათ.“**

ძვ.წ.-ით მერვე საუკუნის ურარტუს ძველი წარწერები ამოიკითხეს ცნობილმა მეცნიერებმა და გამოირკვა, რომ პირველ დაწყებითი კოლხეთის სახელმწიფო აერთიანებდა ადრე წარმოქმნილ კლასობრივ-პოლიტიკურ წარმონაქმნებს, კოლხს (კულხა). ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში არსებობდა კოლხთა ძველი სამეფო. ამ სამეფოს ტერიტორიას (მდებარეობდა დასავლეთ საქართველოში), ძველი ბერძნები **„კოლხიდას“,** ხოლო ადგილობრივნი მკვიდრნი **„ეგრისს“** უწოდებდნენ. კოლხეთის სამეფოს წამყვან დარგად ითვლებოდა სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მეტალურგიამ, ხისა და სელის დამუშავებამ, ოქრომჭედლობამ და კერამიკულმა წარმოებამ. აღსანიშნავია, რომ ძვ.წ. VI საუკუნეში კოლხეთში ვერცხლის მონეტებს ჭრიდნენ, რომელსაც **„კოლხური თეთრი“** ეწოდებოდა. კოლხეთის ტერიტორიაზე სამეფოს შიგნით არსებობდა ქალაქის ტიპის სავაჭრო ცენტრები, ესენი განლაგებული იყვნენ მდინარეების ნაპირებზე, მათი ნაშთებია რიონის ნაპირზე მდებარე დაბლა გომი და ვანი. ხოლო ტეხურის ნაპირზე **„სუნაკი“**, დღევანდელი ძველი სენაკი. შავი ზღვის ნაპირზე დიოსკურია (სოხუმი) და ფაზისი (ფოთი). ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში ფაზისთან, თანამედროვე ფოთთან ახლოს კოლხებს ჰქონიათ უმაღლესი რიტორიკული სკოლა, რაც კოლხეთის (ფაზისის) აკადემიადაა ცნობილი. აქ სწავლობდნენ რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკას და სხვ. კლავდიუს პტოლომეოსი წერს: **„პონტოს გასწვრივ ცხოვრობენ ახაიელები, კერკეტები, ჰენიოხები და სვანო-კოლხები.“**

ძველ ქართულ წყაროებში, კოლხეთს, მერმინდელ ლაზიკას, ეგრისი ეწოდებოდა, ხოლო მის მოსახლეობას ეგრისელები. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (მე-11 საუკუნე) ეხება რა ეგრისის საზღვრებს წერს: **„ხოლო ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი, აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღვა, ჩრდილოით მდინარე, მცირისა ხაზარეთისა, სადაც წარსწუთების წვერი კავკასიისა“.** მაშასადამე, ლეონტი მროველის მიხედვით ეგრისის აღმოსავლეთის საზღვარი ლიხი (სურამი) იყო, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით ხაზარეთის მდინარე ყუბანი, სადაც კავკასიონის მთაგრეხილი მთავრდება. მეთორმეტე საუკუნიდან ტერმინ ეგრისის პარალელურად, ჩნდება გეოგრაფიული ცნება ოდიში. ოდიშის სამთავრო, რომელშიაც იგულისხმებოდა დღევანდელი აფხაზეთიც, იმერეთის სამეფოში შედიოდა. ამასთანავე დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეებს და კუთხეებს ანტიკური ხანიდან ჰქონდათ ავტონომიური უფლებები, მაგრამ შედიოდნენ კოლხეთის, ლაზიკის აფხაზეთის და იმერეთის სამეფოებში. მეთხუთმეტე საუკუნიდან აფხაზეთში იწყება ჩრდილოეთ კავკასიიდან ადიღეურ აბაზური( აბსუური) ეთნიკური ელემენტის შემოჭრა, ჩამოსახლება. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსათვის, თურქებმა კოდორსა და ენგურს შორის ქართული მოსახლეობა გაწყვიტეს, მეორე ნაწილი მონათა ბანაკზე გაყიდეს, დანარჩენი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს. დღევანდელ აფხაზთა დაახლოებით 80% წარმოშობით ქართველია, მათი უმრავლესობა დღემდე ატარებს ქართულ გვარებს. ანთროპოლოგიურადაც დღევანდელი აფხაზები იმეორებენ დასავლურ ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს და უპირისპირდებიან ადიღეურ-აბაზურს.

ამგვარად, ისტორიული აფხაზები მეჩვიდმეტე საუკუნემდე იყვნენ მეგრულ-სვანურ ეთნოსუბტრატზე ჩამოყალიბებული ზანურენოვანი ხალხი, დანარჩენი მეგრელებისგან ოდნავ განსხვავებული მენტალიტეტით.

არქეოლოგიური აღმოჩენები. აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი კულტურის ძეგლები განეკუთვნება ქვედა პალეოლითისა (იაშთხვის სადგომი, აღმოსავლეთ გუმისთის დოლმენები) და ზედა პალეოლითის პერიოდს. მეზოლითისა და ნეოლითის დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების არეალი ფართოვდება. ამ პერიოდიდან ადამიანი იწყებს საწარმოო საქმიანობას, ხდება მიწათმოქმედი მესაქონლე, კერამიკის მწარმოებელი. მეოთხე ათასწლეულში ჩაისახა ბრინჯაოს მეტალურგია (ეშერა, აჭანდარა, ოთხარის დოლმენებში აღმოჩენილი მასალა). მეორე-პირველი ათასწლეულის მიჯნაზე ჩნდება პირველი რკინის ნივთები. ამგვარად, ისტორიული ეგრისი, რომლის ნაწილსაც აფხაზეთი წარმოადგენს, უძველესი ცივილიზაციის კერა იყო. გაკვირვებას იწვევს აღმოჩენილი შავიზღვისპირეთის დოლმენები (ძვ.წ.აღ მეორე ათასწლეულები). ისინი ოთახის ფორმის ფილებისგან ნაგები სამარხებია, რომლებიც სოკოსმაგვარი ქვით იკეტებოდა. თითო ფილა 22 ტონას იწონის, ხოლო მთლიანად დოლმენი ხუთი-ექვსი ქვისგანაა ნაგები. საინტერესოა, რა ტექნიკას ფლობდნენ ქართველთა წინაპრები ამ მასიური კონსტრუქციების აგების დროს?

შავიზღვისპირეთის კულტურა არაერთ მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს, რომელიც ბევრი მეცნიერისა და თუ მოგზაურების განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო და არის. კვლევა ამ დრომდე გრძელდება და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ბევრ კითხვას აუცილებლად გაეცემა პასუხი.

ნატალია ჯალაღონია

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ **გიორგი ჯალაღანიას**

# რატომ არ აინტერესებთ საქართველოში იაფი სტადიონები?



მოგეხსენებათ, იაფი და ხარისხიანი ერთად ლამის შეუთავსებელი ცნებებია. მაგრამ ათასში ერთხელ გამონაკლისებიც არსებობს და დღეს ჩვენ ამ თემას კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით...

დიდი დროც არაა გასული, გაზეთი **"ლელო"** სტადიონების მშენებარე კომპანიაზე რომ წერდა. ლანჩხუთის **"გურია"** არენის რეკონსტრუქციის დასრულებას ბელგიური კომპანიის **"ევროპიან ქონექშენის"** დახმარებით წარმოუდგენლად დაბალ ფასად გეგმავდა.

მართალია, მაშინ საამისო ფული ვერ მოიძებნა და **"ევგრაფი შევარდნაძეს"** რეკონსტრუქცია ჯერაც გეგმაშია, მაგრამ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ევროპული კომპანია არენის რეაბილიტაციასა და აშენებას ქართველებს დაბალ ფასში სთავაზობდა, თანაც ისე, რომ უეფას სტანდარტებს დააკმაყოფილებდა.

**"ევროპიან ქონექშენის"** სამი დამფუძნებლიდან ერთ-ერთი ქართველია – ნიკოლოზ გაბრიჭიძე, რომელიც ამბობდა, რომ კომპანია **"ევროპიან ქონექშენ"** დაკავებულია დიზაინით, მშენებლობითა და ვებარქიტექტურით. ბელგიაში კი იმიტომ დაფუძნდნენ, რომ ევროკავშირის ცენტრია და სამშენებლო კომპანიებისთვის ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობაა.

მათ რამდენიმე სტადიონი ააშენეს, ძირითადად – ჰოლანდიისა და ბელგიის პირველი ლიგის გუნდებისთვის.

ევროპაში დაფუძნებული გაბრიჭიძე საქართველოში ამ თემით იმიტომ დაინტერესდა, რომ ჩვენთან ახლა მწვავედ დგას ინფრასტრუქტურის პრობლემა და მიაჩნია, რომ მისი კომპანიის შემოთავაზება ზედგამოჭრილი იქნებოდა ქვეყნისთვის, სადაც სახელმწიფოს, ფეხბურთის ფედერაციასა და კლუბებს დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნიათ.

მოკლედ შეგახსენებთ, რომ სტადიონის ძალიან იაფად აშენება რეალურია და ამის კონკრეტული მაგალითებიც არის: მაგალითად, გაბრიჭიძის თქმით, მოედნის საფარის გარეშე 5-ათასიან სტადიონს 500-600 ათას ევროზე მეტი არ დასჭირდებოდა, 3-ათასიან ტრიბუნას – 300 ათასი. მაგრამ 5-ათასიანი სტადიონის აშენება ფუჭი საქმე იქნებოდა, რადგან უეფას სტანდარტით, ლიცენზირებული სტადიონის ტრიბუნების მინიმალური ტევადობა 8 ათასია.

**"700-750 ათას ევროდ შესაძლებელია 7-8-ათასიანი ლიცენზირებული, სტანდარტული სტადიონის აშენება, სადაც ტრიბუნების 10 პროცენტი გადაიხურება და უეფას მატჩების გამართვა ჩვეულებრივი მოვლენა იქნება.**

**მესმის, ისეთ ფასს ვასახელებ, კითხვა იბადება ხარისხზე – მაგრამ ამ ტექნოლოგიით აშენებული არენები უეფას სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს, კონსტრუქციები გამძლეცაა და უსაფრთხოც.**

**ჩვენი სამშენებლო მასალის ძირითადი მომმარაგებელია კომპანია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებულ იაფფასიან მასალებს გვაწვდის. ჩვენი პროექტის დაბალი ფასი გამოწვეულია არა დაბალი ხარისხის მასალებით, არამედ, კონსტრუქციის სიმარტივით და ეკონომიური მასალის გამოყენებით.**

**არ არის საჭირო "რასტვორის" გაზავება, ბეტონის ადგილზე მიტანა და სხვა ტრადიციული სამშენებლო სამუშაოები. ჩამოვიტანთ შეფუთულ, მსუბუქ მასალას და სტადიონს ისე ავაწყობთ, როგორც ბავშვები – "კონსტრუქტორს".**

**შეკვეთას თუ მივიღებთ, კონტრაქტში ჩავწერთ გარანტიას, რომ ჩვენი აშენებული სტადიონი უეფასგან ლიცენზიას მიიღებს და ევროტურნირების მატჩებს უმასპინძლებს",** – ეს გაბრიჭიძის სიტყვებია.

ახლა დეტალებზე: **"ევრო ქონექშენ"** უზრუნველყოფს, რომ სტადიონი აკმაყოფილებდეს უეფას ყველა სტანდარტს (კატეგორია 4).

დაახლოებით 750.000 ევროდ შესაძლებელია აშენდეს სტადიონი რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

* დასაჯდომი ადგილი 8000-10000 მაყურებელისთვის, შესაბამისი რაოდენობა VI X-ით და 500 VI -ადგილით;
* 2 სატელევიზიო სტუდია, ერთი – მოედანზე ხედით; 3 კომენტატორის ბოქსი, პრესცენტრი და მედია სივრცე 100 კვ.მ; 10% ტრიბუნებისა – გადახურული;
* გასახდელები ორი გუნდისთვის, შხაპით – თითოეული 25 კაცზე გათვლილი;
* მსაჯების ოთახი, შხაპით და ტუალეტით; მსაჯებისა და მოთამაშეების იზოლირებული, უსაფრთხო დერეფანი;
* მედპერსონალის ოთახი;
* დელეგატების ოთახი, სადაც ტელეკომუნიკაციების მიყვანა იქნება საჭირო;
* საწყობი სივრცე სხვადასხვა ინვენტარის შესანახად, ერთი საფეხბურთო კარების ჩათვლით;
* დოპინგ-კონტროლის ოთახი (20 კვ.მ), ახლოს გასახდელებთან, ტუალეტით და შხაპით;
* შემოღობილი პარკინგი გუნდებისა და დელეგატებისთვის, სადაც ორი ავტობუსი და რვა მანქანა დაეტევა; VI-პარკინგი;
* ყველა ტრიბუნასთან კვების ობიექტები, ადგილზე მიყვანილი წყლითა და კანალიზაციით; ტუალეტების საკმარისი რაოდენობა სტადიონის მთელ პერიმეტრზე; პანდუსები და ტუალეტები ინვალიდებისთვის;
* იზოლირებული სექტორი სტუმარი გუნდების გულშემატკივრებისთვის (საერთო ტევადობის 5%) და ასე შემდეგ.

რეკონსტრუქციისას შესაძლებელია არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენება, რაც ფასების დაკლებას იწვევს.

ამ ტექნოლოგით ბევრი ცნობილი სტადიონი აშენდა – **"დენ ჰააგის", "ზვოლეს", "გრონინგენის" "ევრობორგი", როტერდამის "სპარტას", "როდას", "როზენდაალის", "ბრედას",** აგრეთვე, ჰოლანდიისა და ბელგიის დაბალი ლიგების გუნდებისთვის.

ანუ განვითარებულ ქვეყნებშიც მას სანდო ტექნოლოგიად თვლიან. ამას გარდა, იაფია და, ერთი შეხედვით, საქართველოში ამ კომპანიას დიდი შეკვეთები უნდა მიეღო.

წესით, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამას თუ დაამტკიცებენ, მასშტაბური პროექტების ნუსხაში პრიორიტეტი სტადიონების რეაბილიტაცია იქნება. ცხადია, ევროდონეზე სტადიონის 750 ათას ევროდ აშენება მიმზიდველი წინადადებაა.

ვფიქრობთ, სახელმწიფო სწორედ ასეთი პროექტების განხორციელებით უნდა დაინტერესდეს, რადგან ფეხბურთის მომავალი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ეკონომიკურ და ეფექტურ ხარჯვაზეც იქნება დამოკიდებული. **"ევრო ქონექშენმა"** თანამშრომლობა რამდენიმე კლუბსა და მუნიციპალიტეტს შესთავაზეს კიდეც. მაგრამ დღემდე ერთი სტადიონიც ვერ ააშენეს.

თუ რატომ, ეს გაბრიჭიძისთვის გამოცანად რჩება:

**"ქართული მედიიდან ვიგებ, რომ საქართველოში სტადიონების ნაწილობრივ მოწესრიგებაში 1-2 მილიონს ხარჯავენ, და ეს მაშინ, როცა სრული რეკონსტრუქციაა შესაძლებელი.**

**ჩვენი მცდელობის მიუხედავად, საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. ამიტომ ვამბობ, ერთი სტადიონის აშენების საშუალება მოგვცენ და მერე შეგვაფასონ. იქნებ, ქვეყანამ ამით მართლაც დიდი ეკონომია მიიღოს".**

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

სტადიონზე:
– ყმაწვილო, როგორ იშოვეთ ფული ასეთი ძვირადღირებული ბილეთისათვის?
– მამამ მომცა.
– მერე, მამა სად არის?
– სახლშია, ბილეთს ეძებს!..

* * *

– ჩვენი ფირმა მოლარეს ეძებს.
– ხომ აიყვანეთ მოლარე ერთი კვირის წინ?
– აი სწორედ მაგას ვეძებთ.

* * *

– ალო! ასოციაცია "კონტინენტალი" გაწუხებთ...
– ასოციაცია "კონტინენტალი" სულაც არ გვაწუხებს! – უპასუხეს და ყურმილი დაუკიდეს.

* * *

– რატომ წახვედით პოლიტიკაში?
– აბა შეხედეთ რა ხდება – მთავრობა მარტო თავის თავზე ფიქრობს, განცხრომაში არიან, ფუფუნება, კორუფცია, უსაქმურობა...
– და თქვენ გინდათ ყველაფერ ამას ებრძოლოთ?
– არა, მე ყველაფერ ამაში მონაწილეობა მინდა.

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge